ლელო

№ 2
(11048)

10 — 14 იანვარი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ბრავო, მესხი, ბრავო!...“

12 იანვარს
მიხეილ მესხს
60 წელი
შეუსრულდებოდა

იხ. მე-3 გვ.

ფოტოხელოვნებამ არაერთი ბრწყინვალე კადრი შემოგვინახა სპორტის ქრესტომათიაში შეტანას რომ იმსახურებს. სამუდამოდ რელიქვიად დარჩება ცნობილი ფოტოხელოვნის გურამ თიკანაძის მიერ გადაღებული ეს მართლაც უნიკალური კადრი, საფეხბურთო ბატალიებისათვის ძალზე იშვიათი შემთხვევა რომაა „ჩავლებული“.

ფეხბურთის ქომაგები ამ ფოტოს გამო დიდხანს ბჭობდნენ. იხსენებდნენ როგორ და რა სიტუაციაში „ააყირავა და ჩაასო მოედანში“ მიხეილ მესხმა მეტოქე მცველი. მოგვიანებით, როცა კვლავ არაერთხელ მიუბრუნდნენ ამ თემას, შეიქმნა აზრი, რომ მესხის „მსხვერპლი“ იყო არა მოსკოველი კრუტიკოვი, არამედ იმავე „სპარტაკის“ სხვა ფეხბურთელი — ფედოსოვი.

ამ ათი წლის წინათ მ. მესხმა „ლელოში“ სტუმრობისას უშუალოდ ამ ფაქტთან დაკავშირებით გვითხრა: „ჩემს ფრთაზე, მოედნის კიდესთან ახლოს ვმოძრაობდი ბურთით, ვხედავ, ჩემსკენ გამოექანა ფედოსოვი, უეცრად ბურთს ზემოდან დავადგი ფეხი და ადგილზე გავაქვავე, ფედოსოვი კი "მკვდარ ბურთს" წამოეგო და ამოყირავდა. ეს იყო და ეს“.

მსაჯები მილიონებს მიიღებენ, ფეხბურთელები — ათასებს, ოღონდ... დოლარებში

დიახ, ეს ნამდვილად ასეა: „თანამეგობრობა-97 თასის“ ტურნირში მსაჯობისათვის ფიფას არბიტრებს რუსულ რუბლს მისცემენ, მათ შორისაა სურამელი თამაზ ლაცაბიძე, რომელიც ყოველ მატჩში 1,5 მილიონ რუსულ რუბლს მიიღებს.

მთლიანად ტურნირის საპრიზო ფონდი 150 ათასი აშშ დოლარია. გამარჯვებული გუნდი ამ თანხის 35 პროცენტს მიიღებს, ფინალისტი — 15-ს, ნახევარფინალისტები — 8-ს, მეოთხედფინალისტები — 4-ს. საპრიზო ფონდის დარჩენილი 18 პროცენტი გაიცემა იმ გუნდებზე, რომლებიც 1/4 ფინალში ვერ გავლენ. ტურნირის რეგლამენტში ჩაწერილია, რომ გამარჯვებული „თანამეგობრობა-97 თასს“ და ოქროს მედლებს მიიღებს, ვერცხლის მედლები გადაეცემა მეორე ფინალისტს.

„თანამეგობრობა-97 თასის“ გათამაშების განრიგი

„A“ ჯგუფი: სპარტაკი (მოსკოვი), ნოვბახორი (ნამანგანი), ზიმბრუ (კიშინიოვი), ნეფთჩი (ბაქო).

„B“ ჯგუფი: დინამო (კიევი), კარედა (შიაულიაი), პიუნიკი (ერევანი), მეტალურგი (კადამჟაი).

„C“ ჯგუფი: დინამო (თბილისი), თარაზი (ჯამბული), დინამო (დუშანბე), ლანტანა (ტალინი).

„D“ ჯგუფი: მპკც (მოზირი), სკონტო (რიგა), კოპეტდაღი (აშხაბადი), რუსეთის კლუბების ნაკრები (კონკურსგარეშე)

მატჩები ჯგუფებში

25 იანვარი

დინამო (კ.) — მეტალურგი
სპარტაკი (მ.) — ნეფთჩი
სკონტო — კოპეტდაღი
მპკც — რუსეთის კლუბების ნაკრ.
დინამო (თბ.) — ლანტანა
თარაზი — დინამო (დუშ.)
კარედა — პიუნიკი
ნოვბახორი — ზიმბრუ

26 იანვარი

დინამო (კ.) — კარედა
სპარტაკი — ნოვბახორი
რუსეთის კლ. ნაკრ. — კოპეტდაღი
მპკც — სკონტო
დინამო (თბ) — თარაზი
ნეფთჩი — ზიმბრუ
მეტალურგი — პიუნიკი
ლანტანა — დინამო (დუშ.)

28 იანვარი

დინამო (დუშ.) — დინამო (თბ.)
ზიმბრუ — სპარტაკი
თარაზი — ლანტანა
კარედა — მეტალურგი
პიუნიკი — დინამო (კ.)
ნოვბახორი — ნეფთჩი
სკონტო — რუსეთის კლ. ნაკრები
კოპეტდაღი — მპკც

29 იანვარი, 1/4 ფინალები

„C“ ჯგუფის გამარჯვებული — „D“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული
„A“ ჯგუფის გამარჯვებული — „B“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული
„D“ ჯგუფის გამარჯვებული — „C“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული
„B“ ჯგუფის გამარჯვებული — „A“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული

31 იანვარი, ნახევარფინალები

პირველი და მეოთხე წყვილებში გამარჯვებულები
მეორე და მესამე წყვილებში გამარჯვებულები

2 თებერვალი, ფინალი

გადადგა ჩივაძე?

როგორც ცნობილია, შარშან, 18 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა გადადგომის შესახებ, მაგრამ იგი აღმასკომმა არ მიიღო და მწვრთნელს 20 დღიანი ვადა მისცა მოსაფიქრებლად. და აი, ამ ვადის გასვლის შემდეგ, გავრცელდა ხმები, რომ ჩივაძეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ჯერჯერობით არც აღმასკომს შეუცვლია თავისი აზრი.

ველოსპორტის ფედერაციაში

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციამ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაავალა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს იოსებ გოცირიძეს.

„იუვენტუსი“ საუკეთესოა

ფიფას სტატისტიკისა და ინფორმაციის ასოციაციამ გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბად იტალიის „იუვენტუსი“ დაასახელა.

„ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ასათიანს.

თამაშობდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში, არის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე (1970 წ), სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს 3 მედლის მფლობელი, სსრ კავშირის ნაკრებში ითამაშა 16 მატჩი, გაიტანა 5 გოლი, სამჯერ იყო დასახელებული სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის.

ჰყავს კი მოსკოვის „ტორპედოს“ ჯამარაულის, გოგიჩაიშვილისა და ლობჟანიძის დარი ფეხბურთელები? ანუ კვლავ ტრანსფერების შესახებ

თბილისის დინამოელთა ტრანსფერებზე ბევრ ჭორ-მართალი მოედინება სხვადასხვა არაოფიციალური წყაროებიდან. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველანაირად ვცდილობთ მაქსიმალურად უტყუარ ინფორმაციას მივაკვლიოთ და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ თბილისის „დინამოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს.

● *ბატონო რომან, პირველ რიგში, ყველას გვაინტერესებს, სად გააგრძელებენ საფეხბურთო კარიერას გოჩა ჯამარაული, კახი გოგიჩაიშვილი და ნუგზარ ლობჟანიძე?..*

— ისინი ამ დღეებში დაბრუნდნენ მოსკოვიდან, სადაც „ტორპედოში“ გაიარეს გასინჯვა.

● *გამოდის, რომ მოსკოველებმა უარი თქვეს მათზე?*

— დიახ.

● *ამაში ფინანსურმა საკითხმა ხომ არ ითამაშა გადამწყვეტი როლი?*

— ჩვენ, რა თქმა უნდა, სრული უფლება გვაქვს, რომ ამ ფეხბურთელების ტრანსფერებში გარკვეული თანხა მოვითხოვოთ. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა მათ დამსახურებას თბილისის „დინამოს“ წინაშე, უარსაც კი ვამბობთ მათგან შემოსავლის მიღებაზე, ისინი, ფაქტიურად, თავისუფალი აგენტები არიან, მაგრამ მოსკოველებმა საკმაოდ ცუდი პირობები შესთავაზეს ჩვენს სამეულს და ტრანსფერიც არ შედგა.

● *გავიგეთ, რომ „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რატი ალექსიძის თაობაზე, რომელიც სურთ ინგლისის თასზე მატჩებში ათამაშონ.*

— ფაქსი ინგლისიდან ჩვენც მივიღეთ. ლაპარაკია მხოლოდ ალექსიძის „ჩელსის“ ახალგაზრდულ გუნდში გამოსვლაზე. ალექსიძე და სახვაძე მხოლოდ სტაჟირებაზე არიან ამ კლუბში.

● *დავით ყიფიანი ხომ აპირებდა ალექსიძის გამოძახებას ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის?*

— აპირებდა, მაგრამ გადავწყვიტეთ ამ ეტაპზე თბილისის „დინამოსთვისაც“ და რატისთვისაც მისი ჯერჯერობით „ჩელსიში“ დარჩენა აჯობებს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მატჩების დაწყების წინ ალექსიძეს უკვე ჩვენთან დავაბრუნებთ და, ალბათ, ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშებს.

● *ხაშურის „იმერიის“ ფორვარდ ჰამლეტ წივწივაძეზე უარი თქვით?*

— ჩვენ მას შევთავაზეთ გაევლო გასინჯვა თბილისის „დინამოში“, მაგრამ რატომღაც აღარ გამოგვეხმაურა.

● *„დინამოს“ სხვა ფეხბურთელების შესაძლო ტრანსფერებზე რას გვეტყვით?*

— კონკრეტულად ვერაფერს, რადგან რეალური წინადადებები ჯერ არ ჩანს.

● *წელან ჩემპიონთა ლიგა ახსენეთ. როგორ გგონიათ, შეძლებს თბილისის „დინამო“ შესუსტებული შემადგენლობით კვლავ გახდეს საქართველოს ჩემპიონი?*

შეიძლება გაგვიჭირდეს, მაგრამ, ცხადია, ჩვენ მაინც ვიბრძოლებთ ჩემპიონობისთვის.

ესაუბრა
დათო თავართქილაძე

„მომავალში მეტ დახმარებას ვაპირებთ“...

ამ დღეებში, თბილისში, შვებულებით თურქეთიდან ჩამოვიდა ცნობილი მშვილდოსანი ნატო ნასარიძე და მისი მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი. ისინი 4 იანვრამდე დარჩნენ მშობლიურ ქალაქში. ახალი წლის წინ 31 იანვარს ოსტატი და შეგირდი „ლელოს“ რედაქციაში გვეწვია.

ნატო ნასარიძე

დაიბადა 1972 წელს, თბილისში.
დაამთავრა რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლა
სწავლობს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიაში. მშვილდოსნობაში ვარჯიში დაიწყო 1984 წელს ვლადიმერ ლეკვეიშვილთან, რომელიც დღესაც მისი მწვრთნელია.
ამჟამად ცხოვრობს და ვარჯიშობს თურქეთში მწვრთნელთან ერთად. არის საქართველოს და ყოფილი სსრკ მრავალგზის ჩემპიონი. ევროპის ორგზის ჩემპიონი — პირადში და სამგზის — გუნდურში, მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი — პირადში და მეორე პრიზიორი — გუნდურში. არის ევროპის რეკორდსმენი ყველა პროგრამაში, დამყარებული აქვს აგრეთვე მსოფლიოს ორი და ოლიმპიური თამაშების ერთი რეკორდი.
ოლიმპიურ თამაშებში, ბარსელონასა და ატლანტაში გამოდიოდა თურქეთის სახელით. ბარსელონაში IX ადგილი დაიკავა, ატლანტაში მეორე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას.

ნატო
ნასარიძე

● ნატო, მას შემდეგ, რაც საქართველო დატოვეთ, ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ხმები დადიოდა, მაინც რამ გადაგაწყვეტინათ თურქეთში წასვლა?

— ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რომელიც მე და ჩემმა მწვრთნელმა გადავდგით 1991 წელს. იმ პერიოდში, მოგეხსენებათ, უმძიმესი ვითარება იყო საქართველოში. 1990-1991 წლებში თურქეთში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრებები („გრან პრი“), რომელიც ორივეჯერ მე მოვიგე. იცოდნენ რა ჩვენთან შექმნილი ვითარების შესახებ, თურქებმა თავიანთ კლუბში გადასვლა შემომთავაზეს. კლუბთან კონტრაქტი უფლებას მაძლევდა საქართველოს სახელით გამოვსულიყავი ყველგან, სადაც ჩვენი ფედერაცია მოისურვებდა. მაგრამ, გაიხსენეთ, როგორ გვიკიჟინებდნენ მაშინ საქართველოს სპორტსმენებს არ გამოვსულიყავით სსრ კავშირის პირველობებში, უარი გვეთქვა რუსებთან ერთად ნაკრებში გამოსვლაზე. 1992 წლის მარტამდე კიდევ ვიკავებდი თავს, მაგრამ მერე, როცა ყოველგვარი იმედი გადამეწუ-

იხ. მე-2 გვ.

„მომავალში მეტ დახმარებას ვაპირებთ“...

(პირველი გვერდიდან)

რა, დავთანხმდი მიმეღო თურქეთის მოქალაქეობა.

● **ნატო, დავაზუსტოთ, 1992 წელი ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების წელიწადია, იქ არა სსრ კავშირის, არამედ ე.წ. გაერთიანებული გუნდის სახელით გამოდიოდა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების სპორტსმენებისგან შემდგარი ფედერაცია...**

— გეთანხმებით, მაგრამ სადავებს, მაინც სსრ კავშირის დროინდელ ფუნქციონერებს ეჭირათ ხელში და მათ კატეგორიულად განაცხადეს: გაერთიანებულ გუნდში საქართველოდან ორი ქართველი მშვილდოსანი ვერ მოხვდება, ეს გამორიცხულიაო.

● **მხოლოდ იმიტომ, რომ...**

— დიახ, დიახ, მხოლოდ იმიტომ რომ ქართველები ვიყავით — ამას პირში გვეუბნებოდნენ — ჩაერია საუბარში ნატოს მწვრთნელი.

● **ნატო, ლაპარაკია ოლიმპიურ ნაკრებში თქვენზე და ხათუნა ქერივიშვილის ჩარიცხვაზე?**

— დიახ, ჩვენ ორზე.

● **მერე...**

— აი, მერე იყო თურქეთის მოქალაქეობა რომ მივიღე. ამის შემდეგ ყველა გზა გაიხსნა, მათ შორის ბარსელონისკენ მიმავალიც.

● **ბარსელონის შემდეგ თქვენს წარმატებებზე აღარაფერი გვესმოდა...**

— ვმონაწილეობდი დიდ შეჯიბრებებში. შარშანწინიდან კი კვლავ ვხვდებოდი პრიზიორთა შორის. 1995 წლის დასაწყისში დარბაზებში მსოფლიო პირველობაზე პირად პირველობაში მეხამე ადგილზე გავედი, გუნდურ შეჯიბრებაში კი იმავე წელს, ღია არენაზე, მეორე ვიყავი. შარშან ევროპის პირადი პირველობა მოვიგე. 1996 წლის ბოლოს კი მსოფლიოს რეკორდი დავამყარე, რომელიც ახლა დამტკიცების სტადიაშია.

● **წვრთნის როგორი პირობები გაქვთ თურქეთში?**

ვლადიმერ ლეკვეიშვილი: პირობები იდეალურია. ყოველმხრივ ვართ უზრუნველყოფილნი, დარბაზი ჩვენს განკარგულებაშია.

● **სხვებსაც ავარჯიშებთ?**

— რა თქმა უნდა. ვაჟთა ეროვნული ნაკრებიც მე ჩამაბარეს.

● **თურქ ვაჟ მშვილდოსნებზე არასდროს არაფერი გვსმენია...**

— ვაჟთა შორის ეს სახეობა ძალიან ჩამორჩენილია...

● **ახლა თქვენი იმედი აქვთ?**

— ალბათ, ვნახოთ.

● **აი, თბილისში ბრძანდებით, საქართველოს სპორტის ხელმძღვანელებს თუ შეხვდით?**

— კი, ფედერაციაში ვიყავით.

● **როგორია დამოკიდებულება?**

— ახლა ნორმალური, ადრე იყო გაუგებრობა.

● **რა გაუგებრობაზეა ლაპარაკი?**

— მას შემდეგ, რაც ბარსელონაში გაერთიანებულ გუნდში ნატო ნასარიძის ჩართვა არ მოხერხდა, ალტერნატივის წინაშე დავდექით. მერე რაც მოხდა, უკვე ითქვა. დრომ დაამტკიცა, რომ ჩვენც მართალი ვიყავით.

● **ჩვენს ფედერაციას ახლა ხომ არაფერი შემოუთავაზებია?..**

— არა, თავად უკეთ იციან, რა გასაჭირში არიან.

● **თუ ეხმარებით რამეში ჩვენს მშვილდოსნებს?**

— ნატოს უდიდესი ავტორიტეტი აქვს თურქეთში და მისი თხოვნით თურქები ერთობლივ წვრთნაზე იწვევენ მშვილდოსნებს საქართველოდან. მომავალში მეტ დახმარებას ვაპირებთ. ნატოს დამსახურებაა, რომ თურქეთში 5 წელიწადია ტარდება მშვილდოსანთა შეჯიბრება, რომელიც მალე ალბათ საერთაშორისო გახდება, პირველ ყოვლისა, შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის.

● **თურქებს სპორტის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვთ?**

— ძალიან დიდი. მათი შესაძლებლობების ნახევარი რომ ჰქონდეს საქართველოს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანა იქნებოდა სპორტის ამ სახეობაში. პოტენცია, ნიჭიერება მაქვს მხედველობაში. ამას ისე არ ვამბობ. მიუხედავად ამდენი სიძნელეებისა და პრობლემებისა, რაც საქართველოში გააჩნიათ მშვილდოსნებს, ეროვნულმა ნაკრებმა „გრან პრის“ A კატეგორიის ევროპის ჩემპიონატის შეჯიბრებებიდან გამოთიშა რუსეთის ნაკრები. ეს მაშინ, როცა სხვა პრობლემებთან ერთად, საქართველოს ეროვნულ გუნდს და მის წევრებს ოსტატობის ასამაღლებლად შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობებიც არ გააჩნიათ.

● **თქვენ ამბობთ, რომ თურქებს სპორტის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვთ, ვის ხარჯზე, სახელმწიფო აფინანსებს თუ...**

— მე მხედველობაში მქონდა ჩვენი სახეობა. 1997 წლიდან სახელმწიფომ კურსი აიღო ისეთ სახეობებზე, სადაც წარმატების რეალური შანსი გააჩნიათ. ესაა მშვილდოსნობა, ძალოსნობა და ჭიდაობის ყველა სახეობა. ისინი ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი იქნებიან. დანარჩენებმა კი ამ უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლონ, მაგრამ არა სახელმწიფოს ხარჯზე.

● **ნატო, დღეში რამდენს ვარჯიშობთ?**

— 6 საათს.

ვლადიმერ ლეკვეიშვილი

ნატო ნასარიძე

● **რამდენ საერთაშორისო შეჯიბრებაში გიწევთ გამოსვლა ყოველწლიურად?**

— ასეთი 15-16 ასპარეზობაა.

● **წლეულს რა უახლოესი შეჯიბრება მოგელით?**

— მარტში, სტამბოლში ჩატარდება მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი.

● **როგორ ფიქრობთ, საქართველოდან მიიღებენ მონაწილეობს შენი ყოფილი თანაგუნდელები?**

— ჩვენ აქედანვე ვიჭერთ თადარიგს, დავეხმარებით, ერთობლივ შეკრებაზეც მივიწვევთ.

● **თურქული ენა თუ ისწავლეთ...**

— ძალიან ადვილად.

● **თურქებს წესად ჰქონიათ, ვინც მათი მოქალაქე ხდება, გვარიც უნდა გამოიცვალოს...**

— მეც შემომთავაზეს, მაგრამ კატეგორიულად უარი ვუთხარი. ბოლოს დამთანხმდნენ, მეტი რა გზა ჰქონდათ, მაგრამ დასძინეს — იცოდე, ბევრს ინანებო!

● **ვითომ, რატომ ინანებდი, რა ჰქონდათ მხედველობაში?**

— მითხრეს თუ თურქულ გვარს მივიღებდი, ხალხს მეტად შევუყვარდებოდი, უცხოდ არ ვიგრძნობდი თავს.

● **მართლა ეგრეა?**

— არა, რას ბრძანებთ, 1996 წელს ქალთა შორის თურქეთის №1 სპორტსმენად დამასახელეს, 1995 წელს კი თურქეთის სპორტსმენთა საუკეთესო ათეულში (ქალებშიც და ვაჟებშიც) მეშვიდე ვიყავი.

● **სიტყვამ მოიტანა, ვიცით, რომ თურქეთში ფრანგული საავტომობილო ფირმა „რენო“ ყოველთვიურად ავლენს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენს, წლის ბოლოს კი გამარჯვებულს ჩუქნიან ავტომანქანას...**

— მე მხოლოდ ერთხელ გავედი მეორე ადგილზე თვის საუკეთესო სპორტსმენთა შორის.

ვლადიმერ ლეკვეიშვილი: აქვე გეტყვით, რომ ნატო ყოველწლიურად შედის მსოფლიო მშვილდოსან ქალთა ათეულში. სხვათა შორის, როცა გვარის გამოცვლა შესთავაზეს, ნატოს ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ მას სწორედ ნასარიძის გვარით იცნობს მსოფლიო.

● **როგორ ფიქრობთ, მშვილდოსნობაში ასპარეზობის ახალმა წესებმა რა გავლენა მოახდინეს სპორტის ამ სახეობაზე, თვით სპორტსმენებზე?..**

— ცვლილებები მოხდა, რათა მშვილდოსნობა სანახაობრივად უფრო აზარტული და საინტერესო ყოფილიყო, მოეზიდა მაყურებელი. ახლა უშუალო პაექრობაა მსროლელებს შორის, მაყურებლისა და ტელევიზიის საშუალებით კი მილიონებით ქომაგების თვალწინ. სპორტსმენები ასეთ ატმოსფეროს არ იყვნენ შეჩვეულნი და დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას განიცდიან, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება მაინც ისაა, რომ სპორტსმენი პირველი წაგებისთანავე ეთიშება ასპარეზობას.

ნატო ნასარიძე: ჩემმა თაობამ უკვე სამი საშეჯიბრო სისტემა გამოიცვალა, ყველაფერს ხომ შეეგუება, შინაგანი გარდაქმნა ესაჭიროება, ეს ადვილი არ არის.

● **გავიხსენოთ: ბარსელონაში, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ჩირაღდანი მშვილდიდან გატყორცნილმა ისარმა აანთო, ეს თქვენი სპორტის სახეობის უბრწყინვალესი რეკლამა იყო. აი, ატლანტაში კი, სამიზნეში იყო ჩამონტაჟებული ოპტიკა და გასროლილი ისრის მოძრაობა თვალნათლივ ჩანდა ტელეეკრანზე...**

ვლადიმერ ლეკვეიშვილი: ამერიკელებმა იციან შოუს მოწყობა, ეს მართლაც საოცარი სანახაობა იყო. სხვათა შორის, ატლანტაში სამჯერ ჩაიმსხვრა ვიდეოთვალი, როცა ისარი პირდაპირ ათიანის გულის გულში მოხვდა. აი, სანახაობა ეგ იყო... სროლის სახეობებიდან მშვილდოსნობას ახლა უამრავი მაყურებელი ეტანება. ტყვია მიზნისკენ როგორ მიდის, თვალით ვერავინ ამჩნევს, აქ კი ყველა ხედავს ისრის მოძრაობას და იმასაც მიზანში სად ხვდება.

● **ნატო, კიდევ ერთი შეკითხვა, თქვენს გარდა, რომელი ქვეყნების წარმომადგენლები არიან თურქეთში?**

— მშვილდოსნობაში არავინაა. მაგრამ არიან ხელბურთელები აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან...

● **ხომ არაფერს დაამატებდით ჩვენ საუბარს?**

ვლადიმერ ლეკვეიშვილი: ის, რომ სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა შორის თურქეთში მშვილდოსნობაც შედის, ნატოს დამსახურებაა. საერთოდ, მშვილდოსნობა პოპულარობით თურქეთში მესამე ადგილზეა.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოში კვლავ აღორძინდეს მშვილდოსნობა. ვიცი, ძალიან ბევრს აკეთებს თბილისის სპორტის სამართველოს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა, ფედერაცია, ეს ხალხი მხოლოდ თავდადებით ვერაფერს გახდებიან, მთავარია, საქმიანი მხარდაჭერა.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

ჭადრაკის სამყაროში

„ჩვენი დროის (საჭადრაკო) გმირი“

ახლა, როცა ლას-პალმასში გამარჯვების შემდეგ კასპაროვის ავტორიტეტი კიდევ უფრო განმტკიცდა, სტატისტიკოსების ცნობით, ერთადერთი მოჭადრაკე უძლიერესთა ათეულიდან, ვისაც მსოფლიო ჩემპიონთან ფრიად საპატიო თანაბარი ანგარიში აქვს – 21 წლის ვლადიმირ კრამნიკია. კასპაროვმა და კრამნიკმა დღეისათვის 11 პარტია ითამაშეს, აქედან 2-2 გამარჯვება იზეიმეს, 7 პარტია კი ყაიმით დასრულდა. 1972 წლიდან მოყოლებული, როცა 17 წლის კრამნიკმა პირველად გაიბრწყინა მანილის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, მისი რეიტინგი განუხრელად იზრდებოდა და 1976 წლის პირველი იანვრისათვის 2775-ს მიაღწია (პირველი – მეორე შედეგი მსოფლიოში კასპაროვთან ერთად), შემდეგ იგი რამდენადმე დაეცა (2765), დღეისათვის კი 2740 ქულას შეადგენს (მეოთხე-მეხუთე შედეგი ივანჩუკთან ერთად), თუმცა თვით კრამნიკი რეიტინგს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

● **გაორებულ მდგომარეობაში ხომ არ იყავით, როცა ერთი მხრივ, ასე გაქებდნენ და ამდენი ავანსი მოგცეს, მეორე მხრივ კი, როცა გამარჯვებები იგვიანებდა?**

– არა, გაორებას არ ვგრძნობდი – ამბობს კრამნიკი. თანდათან გამიჩნდა სურვილი ყოველივე ის მეჩვენებინა, რაც შემიძლია და ვიცი. თავად მიკვირდა, ჩემს თამაშს ასე მაღალ შეფასებას რომ აძლევდნენ, თან მესმოდა, რომ ამ ავანსებს არ ვიმსახურებდი. მოჭადრაკეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ მე მაღალი კლასიც მქონდა, მაგრამ დიდხანს ვერ შევძელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება. დიახ, შედეგები სტაბილური და გვარიანი იყო, აი, უფრო მეტის თქმა კი აღარ შეიძლებოდა. ეტყობა, მიმომხილველებზე ის გარემოება მოქმედებდა, რომ დროდადრო მართლაც ძალიან კარგად ვთამაშობდი.

● **მაგრამ მანილაში რომ 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვეთ?**

– ეს დიდი ხნის წინათ იყო! მერეც მქონდა კარგი შედეგები. ვთამაშობდი თანაბრად, ჩავარდნების გარეშე, ვიყავი პრეტენდენტთა შორის ორივე ვერსიით (ფიდესა და პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით). არაერთხელ გავიყავი პირველი ადგილები საერთაშორისო ტურნირებში. როდესაც ზედიზედ ყველა ტურნირს იგებ, შენზე ამბობენ, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ხარ. ჩემზე კი ეს არავის უთქვამს.

● **როგორ, კასპაროვმა ხომ დაგასახელათ თავის მემკვიდრედ?**

– კონკრეტულად არავის არაფერი უთქვამს! დიახ, იყო რაღაც ზოგადი ლაპარაკი, მაგრამ მე მას ყურადღებას არ ვაქცევდი! ვფიქრობდი შემდეგში მექნებოდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა, მაგრამ...

● **უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ იყავით, როცა რაღაც საოცარი გოლიათის სახე შეიქმნა, რომელსაც „კასპაროვისა არ ეშინია“?**

– რას იზამ, გულშემატკივრებს ახალი სახელები სჭირდებათ. აი, ანანდზე ამბობდნენ, რომ იგი ელვისებურად თამაშობს, თუმცა, ეს სულაც არ არის მისი მთავარი ღირსება, არამედ ჩვევაა.

● **განა კასპაროვთან ერთად მუდმივად თქვენი მოხსენიება არ მოგწონდათ?**

– არა, არ მომწონდა. რას ნიშნავს „კასპაროვისა არ ეშინია“. რა თქმა უნდა, არ მეშინია. არ შეიძლება ჭადრაკში ასეთ მაღალ დონეს მიაღწიო და, ამასთან, ვინმესი გეშინოდეს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ კასპაროვთან მართლაც ყოველთვის იღბლიანად ვთამაშობდი. შეიძლება იმიტომაც, რომ მასთან შეხვედრის წინ არ ჩამოვთვლიდი კასპაროვის ყველა წოდებასა და დამსახურებას, როგორც ამას ზოგიერთები აკეთებენ.

● **სწორედ კასპაროვთან იმართება შემოქმედებითი პაექრობა!. მახსოვს, როცა ერთმანეთს შეადარა შენი პარტიები გრონინგენსა (1993) და მონაკოში (1994) კორჩნოიმ, თქვა, რომ ორი განსხვავებული მოჭადრაკე ნახა: ერთი ქულების მოხვეჭით იყო გატაცებული, მეორე კი შემოქმედებით...**

– რა არის ამაში უცნაური. დადგა დრო, როცა მივხვდი, რომ „მაღალ საზოგადოებისაკენ“ გზის გაკვალვისათვის საჭირო იყო მკაცრი თამაში. ამას თვით სიტუაცია მოითხოვდა. მე საკუთარ თავს ვამშვიდებდი: აი, ჯერ ქულებს მოვაგროვებ, შემოქმედებითად კი შემდეგ ვითამაშებ. ეს, ალბათ, იმიტომაც ხდებოდა, რომ საკუთარ ძალებში მთლიანად არ ვიყავი დარწმუნებული. მეტოქეებს ყაიმებს ხშირად ვთავაზობდი, მეშინოდა ქულის დაკარგვისა. ერთი სიტყვით, სპორტულ მიზნებს ვისახავდი, მეთოდურად მივისწრაფოდი მისაკენ, და, ამის გამო, რამდენადმე ზიანდებოდა შემოქმედებითი მხარე.

● **იმ შედევრების რიცხვით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც შექმენი, ახლა მთავარი შემოქმედებითი პრობლემები გახდნენ?**

– დიახ, რა თქმა უნდა. ახლა „ზედაფენების“ მოჭადრაკეებიდან ყველა ცდილობს შემოქმედებითად ითამაშოს, ან კი, რა უნდა გააკეთოს სხვა ჩემი დონის მოჭადრაკემ?! მიაღწიოს რაღაც არნახულ რეიტინგს, გახდეს მსოფლიო ჩემპიონი?! მე შემოქმედებისათვის ვთამაშობ, ვცდილობ რაღაც საინტერესო გავაკეთო. დღეისათვის თამაშის სხვა მოტივებს ვერ ვხედავ.

● **იმ დროს, როცა შემოქმედებით სახეცვლილებას განიცდიდით, თავს დაგატყდათ არაერთი მარცხი, წააგეთ საპრეტენდენტო მატჩები ორივე ვერსიით. არ გინანიათ, რომ ასეთი გზა აირჩიეთ?**

– არა, სინანულის გრძნობა არა მაქვს. დიახ, ორივე ვერსიის მატჩები წავაგე, მაგრამ ხომ იმართება ტურნირები, ცხოვრება ამით არ სრულდება. გულახდილად რომ გითხრათ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად საჭადრაკო გვირგვინისათვის საბრძოლველად – ამ საქმეს მთელი შენი ძალები უნდა შეწირო, იდეამ უნდა აგიტაცოს ან შეიძლება ჩემს ძალებს რეალურად ვაფასებდი, მესმოდა, რომ ჯერჯერობით არც ისე ძლიერად ვთამაშობ, ენერგია არ მყოფნის, არც სათანადო დებიუტური სიახლეები მაქვს და საერთოდ „საჭადრაკო გაგებაც“ არ არის იმ დონეზე...

● **„ილიუმჟინოვის მსოფლიო პირველობა“ თქვენთვის თვითდამკვიდრების შანსი იქნება თუ, უბრალოდ, მორიგი შეჯიბრება?**

– ეტყობა, მაინც მორიგი შეჯიბრება. მინდა ვცადო ჩემი ძალები, მით უმეტეს, რომ ვგრძნობ – უკვე შემიძლია, დრო დადგა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კანკალს დავიწყებ, ვაი თუ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდე – მეთქი, ანდა სულაც პირველ წრეშივე დავმარცხდე. თუ კი წავაგებ, ქვეყანა არ დაიქცევა, თავს არ მოვიკლავ.

● **არ გეშინიათ, რომ ათიოდე წლის შემდეგ ინანებთ, რატომ მეტი სწრაფვა არ გამოიჩინე, რატომ უფრო არ ეცადე, შემეძლო და არ გავაკეთე...**

– არა, არა მგონია. რომ მდომებოდა, მეტს ვეცდებოდი. ერთი მხრივ, დარწმუნებული არა ვარ, კიდევაც რომ მეცადა, ამით რამე გამოსულიყო. საკუთარი თავის დარწმუნება ზოგზე მოქმედებს, ზოგზე არა. გარდა ამისა, უკვე საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს. რახან რაღაც არ გამომივიდა, ეტყობა, მისკენ მაინცდამაინც არ მივისწრაფოდი. საკუთარი თავის იძულება კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნაიჯელ შორტი ახალ აღმავლობას განიცდის

გამოჩენილმა ინგლისელმა დიდოსტატმა ნაიჯელ შორტმა 1993 წელს მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვთან და... ფიდეს მიერ მკაცრად დაისაჯა.

– ამ სანქციების შედეგად ფიდეს რეიტინგი წამართვეს, ამიერიდან ჩემი მიწვევა ტურნირებში თითქმის შეუძლებელი გახდა. პრაქტიკულად ვერსად ვითამაშებდი პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის მიერ მოწყობილ ორიოდე შეჯიბრების გარდა. ერთი სიტყვით, ბოიკოტმა ფიდეს მხრიდან ძალიან ცუდ დღეში ჩამაგდო. სისტემატური პრაქტიკა აღარ მქონდა და იმ ველომრბოლს დავემსგავსე, გზიდან რომ გადააგდეს. ამიტომაც იყო 1994 წელი ყველაზე უარესი მთელი ჩემი კარიერის მანძილზე. მართალია, 1995 წელს ცოტა გამოვასწორე მდგომარეობა – ხან კარგად ვთამაშობდი, ხან უარესად.

თანდათან შევძელი სიძნელეების დაძლევა, თუმცა ძველი, მაღალი დონის დაბრუნება მაინც გამიჭირდა. ახლა ყველაფერი წესრიგშია (შორტი ამჟამად რეიტინგით მსოფლიოში I ადგილებს იყოფს). ვთვლი, რომ აღრინდელზე უკეთესადაც კი ვთამაშობ, და, რაც მთავარია, ჭადრაკი სიამოვნებას მანიჭებს.

ჟურნალისტის კითხვაზე, რას იტყვის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ 99 დიდოსტატის მონაწილეობით, რომლის მოწყობასაც ფიდეს ახალი პრეზიდენტი აპირებს, ინგლისელმა დიდოსტატმა ასე უპასუხა:

– მე მისი ჩატარების შესახებ მაშინ დავიჯერებ, როცა ყველაფერს საკუთარი თვალით ვნახავ. ჯერჯერობით კი ამ მხრივ რაიმე ოპტიმიზმს არა ვგრძნობ. თუკი ასეთი ტურნირი მაინც შედგა, მე, რა თქმა უნდა, ვითამაშებ და, მაინც ვფიქრობ, რომ ამ შეჯიბრებას ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონატს ვერ დავარქმევ.

● **როგორ, გამარჯვებულს ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონად არ ჩათვლით?**

– არ მინდა ამ საკითხზე ყურადღების [illegible] პრიზებია დაწესებული. [illegible] ქასრულებს ეს პირობა, არ უზრუნველყვეს მაღალი საპრიზო ფონდი, მაშინ შეიძლება არც კი ვითამაშო.

– 1996 წლის დასაწყისიდან მთელ რიგ პრესტიჟულ ტურნირებში (მაგალითად, დოს-ერმანასში) არც კი მიმიწვიეს, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ დაბალი კოეფიციენტი მქონდა. თუკი „რეიტინგ-ლისტში“ პირველ ცამეტ მოჭადრაკეს შორის არა ხარ, მაშინ სუპერტურნირებში ავტომატურად არ გიწვევენ. ახლა ჩემი მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა – მე კვლავ პირველ ათეულში ვარ.

„ბრავო, მესხი, ბრავო!...“

ჩაუქრობელი ვარსკვლავი

არც გარინჩა ვარ, არც პელე,
არც მოყმე ვეფხის ნატორი,
ვარ ვინმე მესხი მელექსე,
ბურთის პოემის ავტორი!

მუხრან მაჭავარიანი

ბავშვობაში ბიჭებს მაისურებზე №9 გვეწერა ბორის პაიჭაძის მსგავსად, მერე „10“-იანი ავთანდილ ღოღობერიძის სიყვარულით, ბოლოს მომრავლდნენ „11“ ნომრები მესხის გამო.

ამ ფეხბურთელზე იმდენი საქებარი დაწერილა, ძნელია რაიმე ახალი გაიხსენო, ალბათ, ქართულ ფეხბურთში ლეგენდარულ ბორის პაიჭაძეს თუ ჰქონია ესოდენ „დიდი პრესა“. ახლა მიხეილ მესხის ფოტოსურათებს არ იკითხავთ? თამაშის მომენტებზე მოგახსენებთ — პორტრეტებს არ ვილებთ სათვალავში. რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ? აი, მისი ერთ-ერთი პირველი ფოტო: 35-ე საფეხბურთო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები ჩამწკრივებულან ლენინის ძველ სტადიონზე კონსტიტუციის ქუჩაზე. მწვრთნელი მიხეილ ბერძენიშვილი — 11-მეტრიანების უებარი მესაიდუმლე — პენალტის დარტყმას ასწავლის თმაქოჩორა ბიჭუნას. მიშკა მესხია, რა თქმა უნდა! ვინ იცოდა მაშინ, რომ თბილისის დინამოელთა მომავალი მე-11 ნომერი მსოფლიოს დიდ სტადიონებზე დაიქუხებდა. აგერ მიხეილ მესხი თავისი მოხდენილი „საფირმო“ ფინტით, გვერდი რომ აუარა მეკარე ლევ იაშინს და წამით დაასწრო მოსკოველ თანაკლუბელთა მარჯვენა მცველს ვლადიმერ კესარევს. აი, იგი ერთდროულად ორ ტორპედოელს — ვიქტორ შუსტიკოვსა და ალექსანდრ მედაკინს ებრძვის, აგერ „თბილისელ ერევნელებთან“ — კონსტანტინ ბეგლარიანთან და რაფაელ მათევოსიანთან ბრძოლისას, მოსკოვის დინამოელ ვიქტორ ანიჩკინთან მოგებული ბურთის შემდეგ, კიეველ, მოლდაველ, ალმა-ათელ მცველებთან თამაშის დროს. ეს კი ნაკრების მაისურში რომაა გადაღებული, შვედებთან მატჩია — წამიც და ჩვენი მე-11 ნომერი გაექცევა მარჯვენა მცველ ორვარ ბერგმარკს, ეს კურიოზული ფოტო კი, მოგეხსენებათ, ცნობილ მთასვლელსა და ფოტოხელოვანს გურამ თიკანაძეს ეკუთვნის: მიშა მესხმა ყირაზე დააყენა სპარტაკელი ანატოლი ისაევი, ეს ექსკადრიანი სერია კი ბრაზილიის „ბაიასთან“ მატჩის დროსაა გადაღებული: მესხმა... „მესხის ფინტი“, გააცნო სტუმართა მცველს პერეირას. აგერ აქ კი სულ ახალგაზრდებია — მესხი და იამანიძე თამაშის შემდეგ მოემართებიან მოედნიდან. დაუვიწყარია ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ ფოტოფრაგმენტები, გამარჯვებული ბედნიერი დინამოელები უზბეკურ ეროვნულ ქუდებში. აი, ამ სურათზე კი ორი დინამოელი ფეხბურთელია პირისპირ ბრძოლისას — იბრაგიმ სარჯველაძე და მიხეილ მესხი, აი, აქ მიშას თავის უმცროს ვაჟთან მამუკასთან ერთად გადაუღია სურათი თბილისის სპორტის სასახლეში მისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე. აგერ ჩვენი მიშა სლავა მეტრეველთან, გიორგი ანთაძესთან, ავთანდილ ჭკუასელთან და ბოლოს: ჭრელმაისურებიან ფეხბურთელებს ხელში აუყვანიათ მიხეილ მესხი. ეს მისი გამოსათხოვარი მატჩი იყო ურუგვაის „ნასიონალთან“ (მონტევიდეო).

ახლა მიხეილ მესხის მეგობრულ შარჟებს გადავხედოთ — ოცამდე დავითვალეთ საკუთარ არქივში. ყველაზე მეტად მაინც გიგლა ფირცხალავას ნამუშევარი მოგვწონს, ერთი ხელის მოსმით რომ გამოუხატავს სახელგანთქმული ოსტატის შემართება, სისწრაფე და სისხარტე.

ამას წინათ, არაყი ვნახე — „მიშა მესხი“. მართალი გითხრათ, არ მომეწონა. არა, არა, მის გემოზე არ მოგახსენებთ, ფაქტი არ მესიამოვნა. იქნებ ჯობდა მიხეილ მესხის სახელი უფრო კეთილშობილი ნექტარისათვის გვეწოდებინა?!

... პატარაობიდანვე დასდევდა ბურთს, მამამისმა რომ უყიდა. ზეპირად იცოდა ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას და სხვა გამოჩენილ ფეხბურთელთა სახელები. ეს ორი მაინც ყველას ერჩივნა — სკოლის მოსწავლე ცდილობდა ყველაფერში მიებაძა მათთვის. სასწავლებლის გუნდში ჩარიცხეს მასავით მომავალ დინამოელთან ავთანდილ ხელაძესთან ერთად. მიშა უკვე მაშინ სჯობდა ყველას სისწრაფესა და ფინტებში. ამიტომ, როდესაც ბიჭები „არჩევან-არადანს“ გაითამაშებდნენ ხოლმე, ყველას უნდოდა მესხების ოჯახის ბიჭი თავის გუნდში აეყვანა. ასეთი მე-11 ნომერი უბანში სხვა არ იყო. არც არავის უკვირდა: მიშა ხომ ერთდროულად სპორტის რამდენიმე სახეობას მისდევდა — ჭიდაობას, კრივს, სიმძიმეების აწევას. იგი საჭიდაო ხალიჩის ცნობილ სპეციალისტთან გიორგი ვარძელაშვილთან ვარჯიშობდა, ოსტატი კი იმედებს ამყარებდა შეგირდზე, მაგრამ უმტყუნა. დიახაც, რომ უმტყუნა: ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა „კლასიკოსები“ და სულ სხვა სამყაროში — ფეხბურთში გადაინაცვლა. ამას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი — ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიშამ ხელი დაიზიანა (კარგია, რომ ფეხი არა!) და სამუდამოდ მიატოვა საჭიდაო დარბაზი.

მიშა მესხი სკოლის გუნდის კაპიტნად აირჩიეს. მეშვიდეკლასელი ნანატრ 35-ე საფეხბურთო სკოლაში გადავიდა. გულით გაიხარა, „ოცდამეთხუთმეტელთა“ ფორმა რომ მოირგო — ნარინჯისფერი მაისური ფართო ვერტიკალური ზოლით გულზე. სკოლის მესამე გუნდში ჩარიცხეს, მაგრამ მას შემდეგ რაც მწვრთნელმა ვარლამ (ჯონდო) შავდიამ ნახა ახალბედას თამაში, მიშა მეორე გუნდის ავლით, „ნახტომით“, პირდაპირ პირველ გუნდში გადაიყვანეს. ყველაზე პატარა იყო ასაკითაც და ტანითაც, მაგრამ არავის ჩამოუვარდებოდა არც ტექნიკით და არც სისწრაფით. აი, ფინტებით კი...

— ბავშვობიდანვე მიყვარდა პეპლების დევნა გრძელტარიანი ბადით, მერე ქათმების დაჭერაც დავიწყე ზიგზაგებით, — გვიამბობდა ლესელიძეში დინამოელთა საგაზაფხულო შეკრების დროს მიხეილ მესხი — მთავარი კი, ჩემი აზრით, მაინც ის იყო, რომ ჩვენს ეზოში ბევრი პატარა ბავშვი ცხოვრობდა, გამოვიტანდი გარეთ ჩემს ბურთს და ვიწყებდი გაუთავებელ „მატარებას“, ბავშვები ფეხებში მებლანდებოდნენ, მიშლიდნენ მოძრაობას და მეც ვცდილობდი, როგორმე „სლალომით“ ამეარა მათთვის გვერდი. ასე ვისწავლე ფინტები...

35-ე სკოლის გუნდი ქალაქის პირველობაზე გამოდიოდა მესამე ჯგუფში. 16 წლის მიშა მესხის თამაშს თანდათან ყურადღება მიაქციეს სპეციალისტებმა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჯერ „აქაიქ“. მალე იგი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში შეიყვანეს, რომელმაც ამხანაგური მატჩები გამართა მოსკოვში. მომდევნო წელს მიხეილ მესხი კვლავ მოხვდა მოსკოვში. ეს იყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. ჩვენმა ნაკრებმა, რომელსაც არჩილ კიკნაძე ავარჯიშებდა, მეორე ადგილი მოიპოვა მასპინძელთა შემდეგ. მიშა მესხის თამაში უკვე „კავშირმა“ გაიცნო: მალე ნორჩ ფეხბურთელთა ფორუმს კვლავ მოსკოვმა უმასპინძლა. ჩვენს გუნდში მ. მესხთან ერთად გამოდიოდნენ მეკარე სერგო კოტრიკაძე, მცველი ბორის სიჭინავა, თავდამსხმელები თენგიზ მელაშვილი, ზურაბ მაჭარაშვილი და სხვები. ა. კიკნაძის შეგირდებმა უკვე პირველი ადგილი მოიპოვეს და თბილისში საპატიო თასით დაბრუნდნენ.

ასრულდა მესხის ოცნება — იგი თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი გახდა შეუდარებელ ანდრო ჟორდანიას ხელში. ჯერ დუბლში ათამაშეს. ეს იყო 1955 წლის სეზონის დასაწყისში, ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩში. გულშემატკივრები ქებით მოიხსენიებდნენ თბილისელთა ახალბედას და იმედს გამოთქვამდნენ, რომ იგი „ნამდვილი“ ფეხბურთელი დადგებოდა. აშკარად უმატა თამაშს ჩვენმა სათადარიგო შემადგენლობამ. ახლა მის მატჩებზე მესხის ხათრით ბლომად მოდიოდა მაყურებელი. თუ წინა წელს გუნდი სატურნირო ცხრილის ბოლოში იყო, ახლა უცებ მეორე ადგილზე გადავიდა. ძირითადი შემადგენლობის ორ მატჩშიც ათამაშეს მიშა იმ წელს — კიევის „დინამოსთან“ გასვლით შეხვედრაში და მოსკოვის „სპარტაკთან“ თბილისში. თუ პირველი თამაში შედარებით „ისე რა“ ჩაატარა, მეორეში ყველა გააოცა. დადგა სასპარტაკიადო 1956 წელი. მ. მესხი უკვე 9-ჯერ გამოიყვანეს ძირითად შემადგენლობაში. მიშამ პირველი გოლიც კი გაიტანა. იმ წელს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებსაც გაიოზ ჯეჯელავა ავარჯიშებდა, ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს ერთგვარი კომპენსაცია იყო ჩემპიონატში „დინამოს“ მიერ VIII ადგილის დაკავებისათვის. მ. მესხი თანდათან ჩვენი „დინამოს“ წამყვანი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი გახდა, 1958 წელს იგი საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. ვინ მოთვლის რამდენი დიდი სტადიონი აღუფრთოვანებია მესხს ვირტუოზული თამაშით — პარიზის „პარკ დე პრენსის“, ბუდაპეშტის „ნეპშტადიონის“, ბუენოს-აირესის „რივერ-პლეიტის“ პირთამდე სავსე ტრიბუნები გაუთავებლად სკანდირებდნენ: „მეს-ხი! მეს-ხი! მეს-ხი!“ აბა, რომელ მცველს არ უგემია დიდებული „მესხის ფინტი“ — არგენტინელ სიმეონეს და უნგრელ მატრაის, ფრანგ ბატაშის და ინგლისელ ჯონსონს, ჩეხოსლოვაკიელ შაფრანეკს და ბრაზილიელ პერეირას. გავიხსენოთ ის დღე, როდესაც სპორტის დამსახურებულ ოსტატ მიხეილ მესხს აცილებდნენ დიდი ფეხბურთიდან — ეს 1969 წლის 16 ივლისს იყო, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე, ურუგვაის „ნასიონალთან“ (მონტევიდეო) შეხვედრაში — სტუმრები გაოცებას ვერ მალავდნენ: „როგორ, ასეთ მოთამაშეს უშვებთ ფეხბურთიდან!“ მ. მესხი იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური კლუბი, რომელშიც 15 სეზონი ითამაშა (286 მატჩი) და 50 ბურთი გაიტანა.

ახლა იგი... თბილისის „ლოკომოტივის“ ღირსებას იცავდა. ეს იყო 1970 წელს — მეხიკოს მსოფლიოს IX ჩემპიონატის წელი, მისი მეგობრები — მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, კახი ასათიანი და გივი ნოდია ნაკრების შემადგენლობაში აცტეკების ქვეყანაში გაემგზავრნენ...

ცხადია, მ. მესხს ჯერ კიდევ შეეძლო თამაში და თან როგორ! საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ჩაგრავდნენ დაუმსახურებლად. ჯერ იყო და ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს 1966 წელს. არადა, საკმაოდ კარგად ჩაატარა ამ ტურნირის წინა შესარჩევი მატჩები და, საერთოდ, კარგ სპორტულ ფორმაში იყო. საოცარია, მაგრამ ინგლისის ჩემპიონატზე სსრკ ნაკრები სამი მარჯვენა გარემარბით თამაშობდა და... არც ერთი მარცხენა გარემარბით. „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვეს მ. მესხი 1963 წელსაც, როდესაც ლონდონის სახელგანთქმულ „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთის 100 წლისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი მატჩი ინგლისისა და მსოფლიო ნაკრებებს შორის. ეგრეთ წოდებულ ფიფას ნაკრებში გამოდიოდნენ ტყავის ბურთის ისეთი მოკაშკაშე ვარსკვლავები, როგორნიც იყვნენ იაშინი, ბრაზილიელი ჯ. სანტოსი, გერმანელი შნელინგერი, ფრანგი კოპა, შოტლანდიელი ლოუ, ესპანელი დი სტეფანო, უნგრელი პუშკაში, პორტუგალიელი ეუსებიო და სხვები. თავის გუნდში მწვრთნელმა ფ. რიერამ მ. მესხიც მიიწვია, მაგრამ...

გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟი

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ რეკომენდაცია არ მისცა მიწვევაზე, თითქოსდა მ. მესხი იმხანად ფორმაში არ იყო. სპეციალისტებმა კი კარგად იცოდნენ, რომ ქართველი ფეხბურთელი არაფრით ჩამოუვარდებოდა ესპანელ ჰენტოს, რომელმაც ჩაიცვა მსოფლიო ნაკრების №11 მაისური. როგორ არ გავიხსენოთ აქ ჩეხოსლოვაკიის ცნობილი საფეხბურთო ჟურნალ „კოპანას“ რეფერენდუმი ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც მსოფლიო ნაკრების მარცხენა გარემარბებში პირველ ნომრად დასახელებული იყო მესხი — მეორე ადგილზე გასულ სწორედ იმ ჰენტოზე ორჯერ მეტი ხმა რომ მიიღო. მ. მესხი 1962 წელს მსოფლიო იდეალურ ნაკრებშიც დაასახელეს ბრაზილიელებთან — გარინჩასთან, ზიტოსთან, პელესთან და ჯალმა სანტოსთან, გერმანელებთან შნელინგერთან და ზეელერთან და სხვებთან ერთად. განა საამაყო არ არის იმის გახსენება, რომ მიშას თამაშით აღფრთოვანებულმა არგენტინელმა მაყურებლებმა ნამდვილი ოვაცია გაუმართეს ჩვენს მარცხენა გარემარბს, თამაშის შემდეგ კი ლამობდნენ სუვენირებად გაეყოთ მისი მაისური. მიშას ცნობილი ფინტი რომ არა, ალბათ, ხელთ იგდებდნენ სანუკვარ მაისურს. „ბრავო, მესხი!“ — ისმოდა ტრიბუნიდან. მეორე დღეს გაზეთები წერდნენ, რომ მ. მესხი მათ მიერ 50 მილიონ პიზეტად არის შეფასებული. მახსენდება ჩემი უმცროსი კოლეგა, ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ პირველი რედაქტორი მარტინ მერჟანოვი, რომელიც თამაშის დროს თავის ბლოკნოტში მოკლე ჩანაწერებს აკეთებდა: „ია. ვ. ტ.“, „მ. დ. რ.“, რაც შემდეგნაირად იშიფრებოდა — „იაშინ ვზიალ ტიაჟოლი მიაჩ“ და „მესხი დერჟატ რუკამი“. სწორედ მის წიგნში „კიდევ ერთხელ ფეხბურთის შესახებ“ ვკითხულობთ, რომ როდესაც ნაკრები დანიაში ჩავიდა მსოფლიო ჩემპიონატის საპასუხო მატჩისათვის, კოპენჰაგენის გაზეთში დაიბეჭდა მესხის პორტრეტი წარწერით: „ადამიანი, რომელმაც მოკლა დანია მოსკოვში!“ წარმოიდგინეთ, ასეთი დითირამბების შემდეგ, საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა იგი არ გამოიყვანეს დანიელების წინააღმდეგ...

აი, როგორ ახასიათებდა მ. მესხს ცნობილი სპეციალისტი ნიკოლაი სტაროსტინი: „მესხი ჭეშმარიტი მხატვარია, მსახიობი... მისი ფინტები ფურორს იწვევს ყველგან, სამხრეთ ამერიკაშიც კი, სადაც საკმაოდ ძლიერადაა განვითარებული ეს ფილიგრანული ხელოვნება. ცრუ მოძრაობების მესხისეული კალეიდოსკოპი სანახაობრივად ძალიან ეფექტურია, აღტაცებაში მოჰყავს ტრიბუნები და თავიდანვე განიარაღებს მის მეურვეებს“.

ფასდაუდებელია მიხეილ მესხის ბობროვისეული შეფასებაც: ...მესხი ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. მისი დრიბლინგი საყოველთაო აღტაცებას იწვევს. რაც უფრო კარგად გამოსდის ფინტები, მით უფრო ძლიერად და მწვავედ თამაშობს. მის მოულოდნელ გასვლებს და ხანჯალივით ბასრ გადაცემებს დაძაბული ჰყავს მეტოქენიც და მაყურებლებიც.

...თავის დროზე ფეხბურთის თამაშით გატაცებულ ბიჭებს ზურგზე „ცხრა“ ნომერი გვეწერა ბორის პაიჭაძესავით, მომდევნო თაობამ მაისურზე „ათიანი“ დაიწერა ავთანდილ ღოღობერიძის მსგავსად, მერე კი მწვანე მინდორზე „ქართული გარინჩა“ რომ გამოჩნდა, ყველა ბიჭი უცებ „მეთერთმეტე“ ნომერი გახდა!

ოთარ ნოზაძე



1965 წ. მოსკოვი. სსრკ-ბრაზილია. მიშა იწყებს... (სურათზე მარცხნივ — ჯალმა სანტოსი) ფოტო „ლელოს“ არქივიდან, ქვეყნდება პირველად.

დიახ, ეკზიუპერისა არ იყოს, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. მიხეილ მესხმა საფეხბურთო ბავშვობა ცნობილ 35-ე სკოლაში გაატარა. ალბათ გრძნობდა მიხეილ ბერძენიშვილი რა ხალასი ნიჭის ფეხბურთელი იზრდებოდა მის ხელში და მეცადინეობის მომენტის გადაღებისას, შეგირდებიდან სწორედ პატარა მიშა გამოიყვანა წინა პლანზე.

«ონზ მონდიალის» რჩეულნი

პოპულარული სპორტული გამოცემები წლის ბოლოს რომ თავის რჩეულებს ასახელებენ, ეს გულშემატკივართათვის არახალია. წინა ნომრებში ვიტყობინებოდით საუკეთესოთა ვინაობას „უორლდ სოკერის“, „ფრანს ფუტბოლის“, „გაძეტა დელო სპორტის“, „კიკერისა“ და სხვათა ვერსიით.

კანტონა (შავ მაისურში)

დღეს გთავაზობთ ფრანგულ ყოველთვიურ ჟურნალ „ონზ მონდიალის“ გამოკითხვის შედეგებს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალის მკითხველები და სატელევიზიო არხის ტფ-1-ის მაყურებლები.

„ონზ მონდიალის“ წლის რჩეული ფეხბურთელია ერიკ კანტონა („მანჩესტერ იუნაიტედი“), მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ჯორჯ ვეამ („მილანი“) და მათიას ზამერმა („ბორუსია“ დორტმ.).

გი რუ

ამავე ჟურნალის ვერსიით წლის საუკეთესო მწვრთნელია ფრანგული „ოსერის“ თავკაცი გი რუ, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა გუნდის მწვრთნელს ბერტი ფოგტსს გაუსწრო.

ლეონარდო – პსჟ-ს მთავარი იმედი

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის წინ ფრანგული „პარი სენ-ჟერმენი“ მისმა წამყვანმა ნახევარმცველებმა იური ჯორკაეფმა და დანიელ ბრავომ რომ დატოვეს, ბევრს ეგონა, გუნდის თამაში სულ აირეოდა – თანამედროვე ფეხბურთში ხომ გადამწყვეტ უპირატესობას ის აღწევს, ვისაც ხელთ უპყრია მინდვრის შუა ხაზი.

და აი, აქ ფრანგთა გუნდის მესვეურებმა მეტად გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს, როცა იყიდეს ბრაზილიელი ნახევარმცველი, მსოფლიო ჩემპიონი ლეონარდო. მან პსჟ-ს თამაში „დაალაგა“, უფრო მობილური, ორგანიზებული გახადა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც აშშ-ს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ლეონარდოს დამაჯერებელი გამოსვლები უეცრად შეწყდა ამირეკელი ტაბა რომოსის წინააღმდეგ გამოყენებული უხეში ილეთით და ამის შედეგად მინდვრიდან გაძევებით. ამ გულდასაწყვეტი ინციდენტის შემდეგ ბრაზილიელი „სან-პაულუდან“ იაპონიის „კასიმა ანტლერსში“ გადავიდა და ადგილობრივი გულშემატკივრების კერპად იქცა. მაგრამ ლეონარდოს ნამდვილი სპორტული ბრძოლა მოენატრა და როდესაც მისმა მენეჯერებმა შესთავაზეს არასაფეხბურთო იაპონიიდან ევროპაში გადასვლა, უყოყმანოდ დათანხმდა.

საფრანგეთში ჩამოსვლისთანავე ლეონარდომ განუცხადა ჟურნალისტებს: „კასიმა ანტლერსში“ თამაში მომწონდა, მაგრამ პსჟ-ს წინადადებაზე უარი ვერ ვთქვი და გადავედი ისეთ სუპერკლუბში, რომელმაც ამ გაზაფხულზე მოიპოვა თასების თასი და დაამტკიცა თავისი რენომე ევროპაში. იმედი მაქვს კიდევ მრავალ ამდაგვარ გამარჯვებას ვიზეიმებთ. ოპტიმიზმით ვუყურებ მომავალს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ აქ, საფრანგეთში ტარდება. შესაძლოა, ჩემი ფრანგული გამოცდილება დაეხმაროს ბრაზილიელებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად“.

პსჟ-ს შემადგენლობაში ლეონარდომ პირველი მატჩი ითამაშა „სტრასბურთან“. სწორედ ბრაზილიელის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა მოუტანა პარიზელებს გამარჯვება. ამას მოჰყვა სხვა წარმატებული გამოსვლებიც, თუმცა ბევრს ეგონა, რომ ლეონარდოს საფრანგეთში ადაპტაცია გაუჭირდებოდა. აქ გადამწყვეტი სიტყვა პსჟ-ს ბრაზილიელებმა თქვეს: გუნდის მთავარი მწვრთნელია რიკარდო გომეში, ხოლო ძირითადი დამრტყმელი ძალა – რაი. ლეონარდო ამბობს: „რიკარდო და ჩემი დიდი ხნის მეგობარი რაი ძალიან დამეხმარნენ, რომ აქ, პარიზში მყუდროდ მოვკალათდე. ძალიან მიხარია, ყოველ დღე რომ მათ მზრუნველობას ვგრძნობ. და ეს მხოლოდ ბრაზილიელებისაგან არ მოდის, გუნდის სხვა წევრებიც კარგად და გულთბილად მეპყრობიან. ეს ძალასა და ენერგიას მმატებს“.

სწორედ ლეონარდოს წყალობითაა, რომ ამჟამად „პარი სენ-ჟერმენი“ „მონაკოსთან“ ერთად სატურნირო ცხრილის სათავეშია. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, პსჟ მეორეა, ხოლო ლიდერობს სახელგანთქმული ჟან ტიგანას გაწვრთნილი „მონაკო“. ამ ფაქტს მიმომხილველები ფსიქოლოგიური ფაქტორებით ხსნიან. ჩემპიონატის დასაწყისში მონაკოელებს გამბედაობა აკლდათ. ისინი ძალიან ფრთხილად თამაშობდნენ. ჟურნალისტებთან საუბარშიც თავშეკავებულნი იყვნენ. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. 23-ე ტურში „ლანსთან“ გამარჯვების შემდეგ ტიგანამ განაცხადა: „გუნდის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდა. ახლა მთავარი მიზანია ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. უფრო სწორად – ტიტულების...“

„მონაკოსთვის“ დამახასიათებელია პოზიციური შეტევა, რომელიც დინამიკითა და სისწრაფით კონტრშეტევას უფრო წააგავს. წინა ხაზის მოთამაშეების შეთამაშება და მაღალი ტექნიკური ოსტატობა, მონაკოელებს

ლეონარდო

საშუალებას აძლევს შედარებით ადვილად გადალახონ მეტოქის დაცვითი ეშელონები. მშვენივრად შეეწყო გუნდს ჯონ კოლინზი, ტექნიკური, შემტევი შოტლანდიელი. ნახევარმცველი კარგად „შეერწყა“ ზანგებს – ანდერსონს, ვიქტორ იკპებასა და ტიერი ანრის.

მეორე მთავარი ელემენტი, რომელმაც „მონაკოს“ წარმატება განაპირობა – სტანდარტული მდგომარეობების წარმატებითი რეალიზაციაა (ქართული ფეხბურთის „აქილევსის ქუსლი“). კოლინზი ხომ მშვენივრად ასრულებს საჯარიმო დარტყმას, მაღალი ტანის ანრი გამოირჩევა „მეორე სართულზე“ თამაშით, შედარებით დაბლები იკპება და ანდერსონი კი კარგად ირჩევენ პოზიციას.

პსჟ-ზე უკვე მოგახსენეთ. ახლა ორიოდე სიტყვა მესამე პოზიციაზე მყოფ „ბასტიაზე“. ასეთი კარგი გუნდი კორსიკელებს ბოლოს 80-იანი წლების დასაწყისში ჰყავდათ, ხოლო სამი წლის წინათ მეორე დივიზიონის „ბასტიამ“ კინაღამ, სულაც, ფინანსური კრახი განიცადა. და აქ კლუბს მხსნელად ახალი პრეზიდენტი ნიკოლაი მოევლინა, რომელმაც რამდენიმე წარმატებული ფინანსური ოპერაციის შედეგად, კრიზისი დაძლია. თავისი ძველი სტადიონის „ფურიანის“ (ამ სტადიონზე თბილისის „დინამოსაც“ უთამაშია) რეკონსტრუქციამ და რამდენიმე ახალი მოთამაშის შეძენამ „ბასტია“ პირველ დივიზიონში დააბრუნა.

კორსიკელთა გუნდის მთავარი მწვრთნელია ფრედერიკ ანტონეტი, რომელმაც „შეკრა“ კოლექტივი. „ბასტიას“ სტარტი ჩემპიონატში შთამბეჭდავი გამოდგა: 8 ტურის შემდეგ გუნდი 17 ქულით მეორე ადგილზე იყო. მაგრამ აქ ტრავმა მიიღო სლოვაკმა დისპეტჩერმა ლიუბომირ მორავჩიკმა და გუნდის თამაში აირია. ამჟამად მორავჩიკი კვლავ მწყობრშია და „ბასტია“ ისევ დამაჯერებლად გამოდის საფრანგეთის ჩემპიონატში.

აფრიკელი „ნიანგი დანდი“ ხდება ევროპელი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პარლამენტი და საზოგადოება რისხვამ მოიცვა – ამ ქვეყნის საფეხბურთო კერპმა შონ დანდიმ გერმანიის მოქალაქეობა მიიღო. ჩაიდო თუ არა ჯიბეში ახალი პასპორტი, შონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს მოიზომოს ევროპის ჩემპიონთა გუნდის მაისური.

ყველაფერი კი შარშან გერმანული ჟურნალ „კიკერისათვის“ მიცემული ინტერვიუთი დაიწყო: „ჩემი კონტრაქტი „კარლსრუესთან“ შვიდწლიანია და მომავალს გერმანიას ვუკავშირებ, ვოცნებობ ჩავიცვა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისური“. რაღაც ორ თვეში იგი მშვენივრად ათამაშდა ბუნდესლიგაში. ყოველ შემთხვევაში, დანდი, ნიანგისათვის დამახასიათებელი სისასტიკით (აბა, აფრიკაში გაზრდილ ჭაბუკს ეს მეტსახელი როგორ ასცდებოდა!) უსწორდებოდა მეტოქეებს. გასულ სეზონში 16 გატანილი ბურთით იგი მეორე იყო ბუნდესლიგაში, ახლანდელში კი მთლად „აინყვიტა“.

ისე, დიდი ხანია დადიოდა ხმები, რომ შონს „ბაფანა ბაფანას“ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის) ნაკრებში თამაში არ სურს. ჯერ კიდევ შარშანწინ დეკემბერში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში არ მიიღო მონაწილეობა (ფიფას წესებით, ერთხელაც რომ დაეცვა ეროვნული გუნდის ღირსება სამუდამოდ მოუწევდა აფრიკელთა კოლექტივში თამაში) — მაშინ ტრავმა მოიმიზეზა, ხოლო შემდეგ კონტინენტის თასზე საასპარეზოდ საერთოდ არ ჩამოვიდა. მაშინ, როგორც გახსოვთ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ თასი მოიპოვა და გულშემატკივრების უმრავლესობა გაიძახოდა — აღარ გვინდა შონი, ჩვენი ნაკრები უმაგისოთაც უძლეველია. მიუხედავად ამისა „ბაფანა ბაფანას“ მთავარი მწვრთნელი კლაივ ბარკერი ჯიქურ ლამობდა მის ხელში ჩაგდებას. არაფერი გამოუვიდა, ახლა კი, მას შემდეგ, რაც შონმა გერმანული პასპორტი მიიღო, მთლად განრისხდა...

დანდი გერმანიაში 1993 წელს მოხვდა, მაშინ 20 წლის იყო. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ თავიდან ინგლისის პრემიერლიგაში თამაში სურდა. მაშინ მისმა მენეჯერმა ეს ვერ გაახერხა და მხოლოდ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „შტუტგარტ კიკერსში“ მოაწყო. იმ დროს ახალგაზრდა შონმა გერმანულად მხოლოდ ერთი სიტყვა „ბანჰოფი“ (სადგური) იცოდა.

შონ დანდი

პირველად დანდიმ თავისი განზრახვა ყოველკვირეულ „სპორტბილდში“ განაცხადა: „მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებისა, მაგრამ თამაშით არ შემეფერება. მასში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც თავი სუპერვარსკვლავებად მიაჩნიათ, მაგრამ სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივი მოთამაშეები არიან. მე არ მინდა დავასახელო მათი გვარები, მაგრამ სიტუაცია, რომელიც გუნდში სუფევს ძალიან არ მაძლევს ხელს. როდესაც მითხრეს გერმანიის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში უნდა ითამაშოო, არ მომეწონა. ეს რომ გამეკეთებინა, შემდგომში ჩემ თავს არასოდეს ვაპატიებდი. რასაკვირველია, გერმანიასთან ბრძოლა დიდი პატივია, მაგრამ მე მის წინააღმდეგ კი არა, ამ ქვეყნის ღირსება მინდა დავიცვა. აი რატომ მოვიმიზეზე ტრავმა. თუ გერმანულ პასპორტს მივიღებ, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგაც ამ ქვეყანაში დავრჩები“.

კლაივ ბარკერი ყველაფერში ბერტი ფოგტს მიიჩნევს დამნაშავედ — სწორედ მან გადმოიბირა დანდი, არადა, რამდენი ძლიერი მოთამაშე ჰყავს, მაინცდამაინც ჩვენიანი მოუნდაო.

თვით ბარკერი კი ამ დროს თავის ქვეყანაში კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, განსაკუთრებით შავკანიანები აქტიურებდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ მწვრთნელი დანდის ძალიან ელოლიავება და ეს მაშინ, როდესაც მრავლად არიან შავკანიანი ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებისთვისაც ეროვნული ნაკრების მაისურის მორგება დიდი პატივი იქნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ დანდი გერმანულ მოქალაქეობას მიიღებდა, ძლიერ გააქტიურდა ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიკ მაკარტიც. მან სადღაც „ამოჩხრიკა“, რომ ფეხბურთელის წინაპრები ირლანდიელები იყვნენ. ამის დამადასტურებელი საბუთებით ხელში მაკარტი შონს გერმანიაში ესტუმრა და მრავალსაათიანი საუბარი ჰქონდა. მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი შეუვალი იყო — მხოლოდდამხოლოდ გერმანელობა მსურსო.

დანდის საკითხი წმინდა საფეხბურთო ჩარჩოებს გასცდა: სამხრეთ აფრიკული რესპუბლიკის პარლამენტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა გერმანელ კოლეგებს თხოვნით არ მიეცათ შონისთვის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთები. მაგრამ საქმეში კვლავ ფოგტსი ჩაერთო, რომელმაც კანცლერ კოლთან აუდიენციაზე შეძლო დაესაბუთებინა, რომ დანდი გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ძალიან სჭირდება.

ახლა, ვნახოთ დანდის გაგერმანელობას როგორ შეხვდნენ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრები. რასაკვირველია, პირველ რიგში, ამ ამბავმა ფორვარდები აალელვა. კერძოდ, ფრედი ბობიჩს მიაჩნია, რომ შონი მას, კლინსმანსა და ბირჰოფს კონკურენციას ვერ გაუწევს. უფრო თავშეკავებული რეაქცია გამოამჟღავნა კლინსმანმა: „შონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაუღვინებელი მოთამაშეა. თუ საქმეს პროფესიულად მიუდგება, შეიძლება ნაკრებში ადგილი დაიმკვიდროს“. ვეტერანი რუდი ფიოლერი თვლის, რომ ფოგტსი მართალია, დანდს მომავალ ვარსკვლავად მიიჩნევს. აი, სახელგანთქმული გერდ მიულერის აზრიც: „დანდი მაგონებს კლინსმანს, ორივე მეტოქის კარის დალაშქვრას ცენტრიდან ცდილობს, ამიტომ მათ გაუჭირდებათ ერთად თამაში“. მისი თქმით, თუ ბობიჩსა და დანდის შევადარებთ, უპირატესობა ამ უკანასკნელის მხარეზე იქნება — ყოფილ აფრიკელს უფრო სწრაფი რეაქცია აქვსო.

მოკლედ, როგორც ეტყობა, დანდის მოსვლით გერმანიის ეროვნული ნაკრები კიდევ უფრო გაძლიერდება და საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

აუქციონი

ქინქლაძემ და ყაველაშვილმა მეოთხე მწვრთნელი გამოიცვალეს, მაგრამ „სიტის" არაფერი ეშველა

ინგლისი

მას შემდეგ, რაც გიორგი ქინქლაძე და მიხეილ ყაველაშვილი „მანჩესტერ სიტიში" გადავიდნენ, პრემიერლიგიდან დაქვეითებულმა ამ გუნდმა უკვე მეოთხე მწვრთნელი გამოიცვალა: ალან ბოლის, სტივ კოპელის, ფილ ნილის შემდეგ **ფრენკ კლარკი** მოვიდა. ეს ის კლარკია, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ნოტინჰემ ფორესტიდან" გაანთავისუფლეს. ახალ გუნდში მოსვლისთანავე კლარკმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იღვაწოს „სიტის" ძველი დიდების აღსადგენად.

ამ დღეებში სენსაციური განცხადება გააკეთა ლიდერთა ჯგუფში მყოფი „ასტონ ვილას" იუგოსლაველმა თავდამსხმელმა **საშა ჩურჩიჩმა** – „ბოლტონში" დაბრუნება მსურსო. „ვერ მოპატიებია საკუთარი თავისთვის, ბოლტონელ გულშემატკივრებს რომ ვულალატე. ფულს პრემიერლიგაში თამაშის პატივს დავახარბდი". შევახსენებთ, ჩურჩიჩი „ასტონ ვილაში" შარშანდელ ზაფხულს გადმოვიდა. „სიტისავით" პრემიერლიგიდან გავარდნილმა „ბოლტონმა" მასში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო. იუგოსლავი ლეგიონერის ალსარების შესახებ რომ გაიგო, ბირმინჰემელთა მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან ლითლმა განაცხადა, რომ თუ ფეხბურთელი რომელიმე კლუბში გადავა, იმ 4 მილიონს ერთი სტერლინგიც კი არ დააკლდებაო.

ახალი წლის წინა დღეებში ცნობილმა კლუბმა „ევერტონმა" 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა ირლანდიის ნაკრების 29 წლის მცველი **ტერი ფილანი**.

ესპანეთი

ტრადიციულად მოქიშპე კლუბების „ბარსელონასა" და „რეალის" მეკრიდული „სამპდორიის" ფრანგი ლეგიონერის **კრისტიან კარამბეუს** გადმოსაბირებლად „სამეფო კლუბმა" მოიგო.

საფრანგეთი

ამ ქვეყნის უძლიერეს კლუბ „პარი სენ-ჟერმენს" ბოლო ხანს პრობლემები შეექმნა თავდასხმაში. ამიტომ მეპატრონეებმა სასწრაფოდ შეიძინეს შვეიცარიის „სერვეტიდან" 24 წლის თავდამსხმელი **სირილ პუჟე**.

იტალია

ამ ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავ არიგო საკი და მისი „მილანია". ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე საკიმ მოუწოდა გულშემატკივრებს იყვნენ რეალისტები და შეეგუონ იმ აზრს, რომ წლევანდელ სეზონში „მილანი" მხოლოდ მეორე ადგილისათვის იბრძოლებს. მწვრთნელის ეს სიტყვები არ მოეწონა გუნდის კაპიტან ფრანკო ბარეზის – „სკუდეტოს" მოპოვების გარდა, სხვა არაფერი დამისახავსო. მიუხედავად ამისა, კლუბის მე-

პოლ ინსი

პატრონეებმა მხარი აუბეს საკის რეალიზმს და პირველად „მილანის ისტორიაში პრემიები დააწესეს ვერცხლის მედლების მოპოვებისათვის: ამ შემთხვევაში თითოეული მოთამაშე 100 მილიონ ლირას (65 ათას დოლარს) მიიღებს. აქვე სილვიო ბერლუსკონიმ – „მილანის" პრეზიდენტმა – დაამატა, რომ თუ ღმერთმა გაგვიმართლა და „სკუდეტო" მაინც მოვიპოვეთ, მაშინ თითოეული ფეხბურთელი ხუთჯერ მეტ თანხას მიიღებსო.

გასულ კვირას „გაძეტა დელა სპორტში" გამოქვეყნდა მილანის „ინტერის" ინგლისელი ლეგიონერის **პოლ ინსის** ყურადსაღები ინტერვიუ, რომელშიც განაცხადა, რომ, შესაძლოა, სეზონის ბოლოს დატოვოს გუნდი და ინგლისურ „არსენალში" გადავიდეს. შევახსენებთ, რომ ინსი „ინტერში" უკვე წელიწადნახევარია, რაც გამოდის (მანამდე იგი „მანჩესტერ იუნაიტედში თამაშობდა). შავკანიან ფეხბურთელს იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 1999 წელს უმთავრდება.

შეიტყო თუ არა ინგლისელის ინტერვიუს შესახებ, „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა: „ინსი ჩვენთან დარჩება და არა მგონია „არსენალს" მიაშუროს. კლუბი მისი თამაშით კმაყოფილია და გაყიდვას არ უპირებს".

ნიგერია

ქვეყნის ეროვნული ნაკრები, მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელმა ჯო ბონფრერმა მიატოვა, უმწვრთნელოდაა. ნიგერიის სპორტის მინისტრის მოადგილემ ამას წინათ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ამ პოსტზე დაინიშნება რომელიმე ძალიან ავტორიტეტული საფეხბურთო სპეციალისტი. თურმე, უკვე არის მოლაპარაკება **კევინ კიგანთან, ლუის ვან გაალთან, იოჰან კრუიფთან, ალბერ ფაფიესთან** და **ჰოვარდ უილკინსონთან**. გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ამჟამად კევინ კიგანი წვრთნის „ნიუკასლს", ვან გაალი კი „აიაქსს", დანარჩენი სამი უმუშევარია და სწორედ ამიტომ მათ მთავარ პრეტენდენტებად მიიჩნევენ.

მექსიკა

მნიშვნელოვნად გაძლიერდა „ატლეტიკო სელეას" კლუბი, რომელშიც ესპანეთის „რეალის" ყოფილი ორი წევრი **ემილიო ბუტრაგენიო** და **მიჩელი** გამოდიან: მათ კიდევ ერთი „სამეფო კლუბის" წარმომადგენელი 38 წლის **უგო სანჩესი** დაემატა.

რჩეულნი

ტრადიციისამებრ წლის ბოლოს ქვეყნებში რჩეულ ფეხბურთელებს ასახელებენ. ავსტრიის №1 ფეხბურთელად დასახელებულია ცნობილი მეკარე **მიხაელ კონსელი**, საფრანგეთის – ამჟამად „ბარსელონაში" მოასპარეზე **ლორან ბლანი**, ამერიკის შეერთებული შტატების – „სან-ხოსე კლეშის" ფორვარდი **ერიკ ვინალდა**. რაკი აშშ-ზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ ამბავსაც შეგატყობინებთ: **კარლოს ალბერტო პარეირა** – ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი (მან 1994 წელს ეს გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახადა) ამერიკაში ბრუნდება. ბრაზილიელმა ორწლიანი კონტრაქტი დადო კლუბ „ნიუ-იორკ/ნიუ-ჯერსი მეტროსტარზთან".

როლან ბლანი

საქართველო

„აუქციონის" მიმოხილვას ჩვენ ტრადიციულად საქართველოთი ვიწყებდით ხოლმე. ამჯერად შეგნებულად ბოლოში მოვიტოვეთ სათქმელი. საქართველოს სატრანსფერო ბაზარზე სრული ქაოსია: ვერ გაიგებ ვინ სად და როდის მიდის, რა პირობებით. კლუბების მეპატრონეებმა თითქოს პირი შეკრესო, ძალით თუ დააცდენინებთ რამეს.

ამიტომ ქართველ ფეხბურთელებზე დღეს ბევრს არ ვილაპარაკებთ. გუშინწინ ტელეფონით დავუკავშირდით ვლადიკავკაზის „ალანიის" პრეს-ატაშეს ანდრეი აირაპეტოვს, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ კლუბმა ოფიციალურად გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი გერმანიის „აინტრახტიდან" გადმოსული **კახი ცხადაძესთან** (სატრანსფერო თანხა – 400 ათასი გერმანული მარკა), **ლევან კობიაშვილთან** (იგი ივლისამდე დაჰყოფს ვლადიკავკაზში). ის, რომ სხვა ქართველებიც უნდა გამოეცადათ „ალანიაში", სახელდობრ, **გიორგი გახოკიძე** და **ვალტერ გუჩუა**, პრეს-ატაშემ ამის შესახებ არაფერი იცოდა რა, ჩვენს კითხვაზე, თუ რა ბედი ეწია ტრანსფერზე დაყენებულ **ზაზა რევიშვილს**, აირაპეტოვმა გვამცნო, რომ ამჟამად კლუბს რამდენიმე წინადადება მოუვიდა ქართველი ფეხბურთელის შეძენის თაობაზე. ეტყობა, ზაზა საფეხბურთო კარიერას რომელიმე რუსულ კლუბში გააგრძელებსო.

დანარჩენი ტრანსფერების შესახებ „აუქციონის" შემდეგ ნომრებში შეიტყობთ.

ჯემალ ჭიაბაშვილი

ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

შვიდი პრეტენდენტი!

იანვარში ინგლისური კლუბები იმდენად ერთმანეთს კი არა, უფრო ბუნებრივ პირობებს ებრძვიან. ცხადია, ასეთი თოვლისა თუ ცუდი ამინდის დროს ერთი პატარა საზამთრო შესვენების გამოცხადება სჯობდა, მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა და იანვრის განმავლობაში მორიგი ტურებია დანიშნული. სხვა საკითხია, რომ მატჩების ნაწილის ჩატარება შეუძლებელი ხდება და მათ სხვა, უკეთეს დროისათვის გადადებენ ხოლმე. ამის გამოა, რომ ახლა ფაქტობრივი ლიდერი სხვაა, პოტენციური ლიდერი სულ სხვა, თუმცა ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი უკვე გამოიკვეთა და მასში, არც მეტი, არც ნაკლები, 7 (!) კლუბი შედის.

ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, რა თქმა უნდა, „ლივერპულია", რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა ჩემპიონს მთელი 11 ქულით ჩამორჩა. ახლა „ლივერპული" კიდევ უფრო მომძლავრდა. უკეთ თამაშობს დაცვა, ხოლო თავდასხმა შედეგიანობით მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს" თუ ჩამოუვარდება. ბრწყინვალედ თამაშობს ახალგაზრდა თავდამსხმელი რობი ფაულერი, რომელსაც 11 გოლი აქვს გატანილი. შარშანდელ სეზონში იგი 28 გოლით მეორე სნაიპერი იყო ალან შირერის (31) შემდეგ, ახლა კი ამ ორ ბომბარდირს რამდენადმე უსწრებს იან რაიტი „არსენალიდან" (14). ლივერპულელთა დაცვას ადგილებს ნაკრების წევრი რაიტი, შუა ხაზზე ჩეხ ვარსკვლავ ბერგერთან ერთად მოქმედებს ინგლისელ გულშემატკივართა საყვარელი მაკმანამანი, კვლავ მწყობრშია ვეტერანი ბარნსი და კოლიმორი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ლიგის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო. „ლივერპულმა" ამ სეზონში ბევრი ჩინებული გამარჯვება იზეიმა, ამასთან, ზოგი მძიმე მარცხიც ვერ აიცდინა. გავიხსენოთ თუნდაც 0-3 „ბლექბერნთან", რომელიც იმ მომენტში ბოლო მეოცე ადგილზე იყო და ახლაც სახიფათო ზონაში იმყოფება. 1 იანვარს „ლივერპული" ლონდონში დამარცხდა 0-1 „ჩელსისთან", მაგრამ 11 იანვარს, შაბათს, იღებს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს", და ეტყობა, კიდევ უფრო განამტკიცებს მდგომარეობას.

რობი ფაულერი

ჩემპიონობის მეორე აშკარა პრეტენდენტია ლონდონის „არსენალი", რომელსაც სათავეში უდგას შესანიშნავი ფრანგი სპეციალისტი არსენ ვენგერი. მართალია, მე-18 ტურში მან სტუმრად წააგო – 1-2 უკანასკნელ ადგილზე მყოფ „ნოტინგემ ფორესტთან" (თუმცა ინგლისის პრემიერლიგაში ხომ მოულოდნელი არაფერია!), მაგრამ შემდეგ აღიდგინა დანაკლისი. „არსენალი" შარშან მხოლოდ მეხუთე იყო, რაც აშკარად არ შეესაბამებოდა მის პოტენციალს. ახლა უკეთ თამაშობს მისი სნაიპერი რაიტი, რომელმაც შარშან 15 გოლი გაიტანა, წლეულს კი შეიძლება ეს რიცხვი გააორმაგოს კიდეც. როგორც ყოველთვის, საიმედოდ თამაშობს მეკარე სიმენი, მრავალნაცადი ადამსი და პლატი, შესანიშნავი ჰოლანდიელი ოსტატი ბერგკამპი.

თუ „ლივერპულსა" და „არსენალის" წარმატება არავის უკვირს, გარკვეული სიურპრიზია ლიდერთა შორის ლონდონის მოკრძალებული „უიმბლდონის" გამოჩენა. რაც არ უნდა იყოს, ფეხბურთი და ჩოგბურთი ხომ ერთიდაიგივე არ არის. „უიმბლდონი" შარშანდელ ჩემპიონატში მეთოთხმეტე იყო, ახლა კი ჯერჯერობით ყველაზე ნაკლები ქულა აქვს დაკარგული. შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გუნდს განთქმული ოსტატები არა ჰყავს, მაგრამ მისი ბრძოლისუნარიანობა ნამდვილად შესაშურია...

„მანჩესტერ იუნაიტედი" ყოველთვის ინგლისური ფეხბურთის სიამაყე იყო. ამ ჩემპიონატში მას მძიმე დღეებიც ჰქონდა, მაგრამ წლის მიწურულისათვის შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ზედიზედ მოიგო ორი მატჩი გამანადგურებელი მშრალი ანგარიშით, რაც ესოდენ თანაბარი შემადგენლობის შეჯიბრებისათვის ნამდვილად უჩვეულოა. ჯერ იყო და ჩემპიონმა ანგარიში 5-0 სძლია „სანდერლენდს", რომელიც სულაც არ არის ხელისწამოსაკრავი გუნდი, შემდეგ კი სტუმრად ოთხი მშრალი ბურთი გაიტანა „ნოტინგემ ფორესტთან". „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობა მეტად ძლიერია: მეკარე შმეიხელი, ძმები ნევილები, რომლებმაც ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე მოიპოვეს რეპუტაცია, როგორც შესანიშნავმა მცველებმა, შუა ხაზის საუკეთესო ოსტატები ბექჰემი, ბატი, ჩეხი პობორსკი, კანტონაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნორვეგიელი სოლსკიარი, რომელსაც უკანასკნელ სეზონამდე არავინ იცნობდა, ახლა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან უკვე გაიტანა 9 ბურთი. შარშანდელ სეზონშიც კი, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი" დამაჯერებლად გახდა ჩემპიონი, მას არა ჰყავდა გამოკვეთილი სნაიპერი. ყველაზე მეტი ბურთი, 14 კანტონამ გაიტანა. წელს ეს შედეგი უდავოდ გაუმჯობესდება.

ბირმინგემის „ასტონ ვილა" შარშან მეოთხე იყო და ახლაც მტკიცედ მიდის ლიდერთა ჯგუფში. „ნიუკასლ იუნაიტედი" 1995-96 წლების ჩემპიონატში მხოლოდ ფინიშზე ჩამორჩა „მანჩესტერ იუნაიტედს". ამას წინათ „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტი ესაუბრა გუნდის მთავარ მწვრთნელ კევინ კიგანს და თხოვა განემარტა, რა არის ამ სეზონში „ნიუკასლის" მთავარი მიზანი:

– „ნიუკასლი" ამ სეზონში ოთხ ტურნირში იღებს მონაწილეობას: ქვეყნის ჩემპიონატში, უეფას თასზე, ლიგის თასზე და ინგლისის თასზე, სადაც თამაშები იანვარში დაიწყება. მე რომ ვინმემ არჩევანი შემომთავაზოს, თქმა არ უნდა, ინგლისის ჩემპიონატს ავირჩევდი, სადაც კლუბს, 20-იანი წლებიდან მოყოლებული, არ გაუმარჯვია. შემდეგ მოდის, მართალია, სულ ცოტათი თუ ჩამორჩება, უეფას თასი. რაც შეეხება ორ ინგლისურ თასს, ჩვენს ქვეყანაში ისინი, მართალია, ძლიერ პოპულარულია, მაგრამ კონტინენტზე დიდად არ გვმატებენ ავტორიტეტს.

– დღეს „ნიუკასლში" რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გამოდის. რაიმე პრობლემა ხომ არ გექნებათ მათი ურთიერთგაგების საკითხში?– ჩემი აზრით, ეს არის მთავარი საკითხი, როცა კი გუნდის შექმნა იწყება. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსოფლიოს 11 საუკეთესო ფეხბურთელი ვერასოდეს წარმატებით ვერ ითამაშებს თუნდაც არც ისე დიდი შესაძლებლობის მქონე, მაგრამ შეთამაშებულ კოლექტივთან. შედეგი მხოლოდ ხანმოკლე, შეუპოვარ მუშაობას მოაქვს. დიახ, შირერი, ფერდინანდი, ჟინოლა, ბერდსლი, ასპრილია, გილესპი მშვენიერი შემსრულებლები არიან, მაგრამ, ჩემი აზრით არც ერთი მათგანი თავის ინდივიდუალობას გუნდის ინტერესებზე მაღლა არ აყენებს: წარმატების მიღწევა კი მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება.

და ბოლოს, ზოგი რამ ჩემპიონობის კიდევ ერთ, რიცხვით მეშვიდე პრეტენდენტის, ლონდონის „ჩელსის" შესახებ. ეტყობა, მისი შედეგი ყველა შემთხვევაში შარშანდელზე უკეთესი იქნება. მართლაცდა, სამუალოს რომ ეტყვიან, სწორედ ასეთი იყო „ჩელსი" შარშანდელ ჩემპიონატში. შედეგებს დააკვირდით: მეთერთმეტე 20 გუნდში 12 მოგება, ამდენივე წაგება, 14 ფრე, ბურთები 46-44, 50 ქულა – თითქოს რაღაც სანიმუშო მაჩვენებლებია ისეთი კლუბისთვის, რომელიც „არც იქით არის, არც აქეთ". ახლანდელი შედეგები, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესია. სეზონის დაწყებიდან „ჩელსიში" გადმოსულ ვიალისა და დი მატეოს კიდევ ერთი შესანიშნავი იტალიელი ოსტატი ძოლაც დაემატა, რომელმაც ბოლო მატჩებში ზედიზედ დაიწყო გოლების გატანა. რაც შეეხება ვიალის, წლის მიწურულში დაშავდა, მაგრამ მოასწრო 8 ბურთის გატანა, „ჩელსიმ" კი ზედიზედ მოიგო სამი მატჩი. ხანდახან მინდორზე თვით რუუდ გულიტიც გამოდის, მოთამაშე მწვრთნელი, „ჩელსის" გულშემატკივრების კერპი.

21 ტურის შემდეგ წამყვანი შეიდეულის მდგომარეობა ასეთია:

„ლივერპული" – 42 ქულა 22 თამაშიდან (წინასწარ ითამაშა 1 მატჩი), „არსენალი" – 40 (21 თამაშიდან), „მანჩესტერ იუნაიტედი" – 38 (21), „ნიუკასლი" – 37 (21), „უიმბლდონი" – 37 (19), „ასტონ ვილა" – 35 (21), „ჩელსი" – 35 (21).

სნაიპერთა შორის ამჟამად პირველია ი. რაიტი („არსენალი") – 16. ერთი გოლით ნაკლები აქვს შირერს („ნიუკასლი").

გივი თორელი

«იმერეთის» გასაჭირი

ვიდრე ხონის საფეხბურთო კლუბ „იმერეთის" გასაჭირზე ვიტყოდით, ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებ, რომ ქვემო იმერეთის ამ უძველეს კულტურულ ცენტრში, უხსოვარ დროიდან ბურთაობა რომ ჰყვარებიათ ამაზე მიუთითებს თვით დღევანდელი საფეხბურთო არენის – ე.წ. სტადიონის ადგილმდებარეობა, რომელსაც წმინდა გიორგის ეკლესიისგან, 15-საუკუნოვან ისტორიას რომ ითვლის, რიყის ქვით ნაშენი მაღალი კედლის ნანგრევები ჰყოფს.

რეზინის კამერიანი ბურთი კი, თურმე ხონში ფოთის შემდეგ აჭრილა ჰაერში, რომელიც სპორტის დიდ ქომაგს, შემდგომში ცნობილ ქართველ მხატვარსა და პოეტს ანდრო ბახტაძეს ფოთში, ინგლისელი მეზღვაურებისგან შეუძენია და პირველი საფეხბურთო ილეთები და თამაშის წესებიც გაუცვნია ხონელი ახალგაზრდებისათვის. მანამდე, მოგეხსენებათ, როგორც სხვაგან, ხონშიც, ლელობურთს მისდევდნენ, რელიგიური დღესასწაულების დასკვნითი აკორდი სწორედ ლელობურთში შეჯიბრება ყოფილა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხონში ჩამოყალიბდა ე.წ. ნაკრები გუნდი – დღევანდელი „იმერეთის" წინამორბედი, რომელმაც პირველსავე სეზონში წარმატებას მიაღწია საქართველოს პირველობის გათამაშების მესამე ჯგუფის გუნდებთან პაექრობაში. ეს იყო 1948 წელს, ხონელებმა გაუსწრეს მესამე ჯგუფის ფავორიტებს თეთრი წყაროს, წითელი წყაროს ადიგენის გუნდებს და მეორე ჯგუფის საგზურიც მოიპოვეს. ხონის ღირსებას იცავდნენ, შემდგომში რესპუბლიკაში ცნობილი ფეხბურთელები: არჩილ ლოლაბერიძე, ომარ ურთმელიძე, ბიჭიკო და ჯაბა სანოძეები, გიზო წივწივაძე, ჯამბულ ბახტაძე, ხოლო მოგვიანებით ჯემალ კუჭუხიძე, იური ჯანელიძე, ლერი მამფორია, ბადრი სანოძე, ამბერკო ტაბიძე და სხვები. თითქმის ყველა მათგანი თავის დროზე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რესპუბლიკის ფეხბურთის მაშინდელ მესვეურებს დავით ცომაიას, ანდრო ჟორდანიას, დუკა რამიშვილს და არაერთმა ხონელმა ფეხბურთელმა კიდევაც დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებში – თბილისის „სპარტაკში", ქუთაისის „ტორპედოში", ფოთის „კოლხეთში", სხვაგან.

რაც შეეხება „იმერეთის" დღევანდელ მდგომარეობას, გუნდს მერვე ჩემპიონატის I წრე ურიგო მაჩვენებლებით არ დაუმთავრებია. 16 შეხვედრაში ხონელმა ფეხბურთელებმა 9-ჯერ იზეიმეს გამარჯვება, 2 შეხვედრა ფრედ ითამაშეს და 5-ჯერ დამარცხდნენ. ბურთების დადებითი ბალანსი აქვთ 34-21. ამას გარდა, თასის გათამაშებიდან მათ ორი შეხვედრის ჯამში გამოთიშეს ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ტყიბულის „მეშახტე", ხოლო მეორე ლიდერი – ჭიათურის „მაღაროელი" დაჯაბნეს ყველა რგოლში. „იმერეთი" მეოთხე საფეხურზე აღმოჩნდა გათამაშების 17 მონაწილეს შორის. შედეგი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი შეხედვით საუკეთესოა, მით უმეტეს, რომ გუნდს პირველ ჯგუფში გადასვლის არავითარი პრეტენზია არ გააჩნია, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ.

„იმერეთი" ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომელსაც აგერ ათეული წელია ავარჯიშებენ საქმის მცოდნე და ენერგიული მწვრთნელები ბადრი სანოძე და ამბერკო ტაბიძე. რომლებიც კარგა ხანია უხელფასოდ მუშაობენ. ისინი ფანატიკურად არიან შეყვარებულნი ფეხბურთზე. ბუნებრივია კითხვა, სანამდე უნდა იმუშაონ მწვრთნელებმა უხელფასოდ? სწორედ ხელფასისა და პრემიების გადაუხდელობის გამო, გუნდი ერთდროულად რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და ქუთაისის „ტორპედოს", ტყიბულის „მეშახტეს" და სხვა გუნდებს მიაშურა. მათ ალბათ დანარჩენი ფეხბურთელებიც შეუერთდება. ასე რომ, განგაშის ზარმა – „იმერეთშიც" ჩამოჰკრა. რაც შეეხება რაიონის ხელმძღვანელობას, რაც შეეძლო დახმარება გაუწია და დღემდე მოიყვანა გუნდი. ახლა კი, როცა სამრეწველო საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერებულია (არც აგრარულ სექტორშია უკეთესი მდგომარეობა), რა იღონოს რაიონის ხელმძღვანელობამ? ცხადზე უცხადესია, ადგილობრივი ბიუჯეტით ეს რომ არ მოხერხდება. მაყურებელი, როგორც წესი, „იმერეთის" მატჩებზე ძალზე ცოტა თუ დადის. აბონემენტები ვერ გასაღდა... ნანატრი სპონსორები კი არა და არ ჩანან. დაბოლოს, ამბობენ – „კაცი იმედით ცოცხლობსო" – ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, იქნებ, გამოჩნდეს სპონსორი, იქნებ წარმოშობით ხონელებმაც, გამოიღონ ხელი. გადარჩენას ითხოვს დაშლის პირას მისული, ეს თვითმყოფადი და მეტად საინტერესო ხელწერის გუნდი.

დემურ ტორაძე,
ხონი

განა ასეთი უძლეველია „გუნდი-ოცნება“?

ნბა-ს სუპერვარსკვლავისაგან შედგენილმა ამერიკელთა ნაკრებმა დაბადების დღე 5 წლის წინათ იზეიმა და დღემდე ეს „გუნდი-ოცნება“ („Dream Team“) უძლეველია. ბარსელონა-92-ის ასპარეზობა ნაკრებისთვის უბრალო გასეირნება გამოდგა, მაგრამ შარშან ატლანტის ოლიმპიადაზე ამერიკელთა უპირატესობა არც ისე დიდი იყო. როგორც კალათბურთელმა ჩარლზ ბარკლიმ განაცხადა მეტოქე გუნდებმა „შიშის ფაქტორი თანდათან დაძლიეს. ამერიკელი ვარსკვლავები მკაცრი გამომცდელებისაგან გადაიქცნენ მაცდურ სამიზნედ. ატლანტაში ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს ჩვენს გუნდზე“.

იქნებ სწორედ მოიქცა მაიკლ ჯორდანი?

საკალათბურთო მსოფლიოს თითქოს თვალთაგან ბისტი მოსცილდა. არა, ამერიკელთა ოსტატობით კვლავ ტკბებოდნენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მეტოქენი წინასწარ ეგუებოდნენ მარცხს. ახლა ევროპელი, სამხრეთამერიკელი და, წარმოიდგინეთ, აფრიკელი მწვრთნელები მთელი სერიოზულობით ამუშავებდნენ ამერიკელთა ნაკრების ძლევის ტაქტიკურ სქემებს. დიახ, ბარსელონის ოლიმპიადისაგან განსხვავებით ატლანტაში ამერიკელთა უპირატესობა აღარ იყო ასეთი შთამბეჭდავი. რაც შეეხება მატჩების პირველ ტაიმებს, „ოცნების გუნდმა“ ყოველ მეორე შემთხვევაში მეტოქეს 10 ქულითაც ვერ სძლია. ასე იყო ლიტვასთან (+8), იუგოსლავიასთან (+5), არგენტინასთან (+2). ზედ ოლიმპიადის წინ კი კინაღამ დიდი სენსაცია მოხდა: ვარსკვლავთა ნაკრებმა ამერიკელ სტუდენტთა რიგით გუნდთან მატჩში პირველი ტაიმი 17-ქულიანი სხვაობით დათმო და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებში შეძლო მინიმალური ანგარიშით გამარჯვება.

ოლიმპიადამდე ამერიკელი კალათბურთელები ყველგან აცხადებდნენ, რომ, „ჩვენი მიზანი — კალათბურთისაგან სიამოვნება მივიღოთო“. ატლანტაში გასეირნება მათთვის გაცილებით ნაკლებსასიამოვნო გამოდგა, ვიდრე ბევრს ეგონა. ამერიკელი ვარსკვლავებისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო მსოფლიოს მრავალი ნაკრები. კი, ბატონო, ბრაზილიელების შესახებ სმენიათ, მათ ლიდერს შმიდტს იცნობენ, მაგრამ ვინ არიან ეს თავხედი არგენტინელები, ანგოლელები, ავსტრალიელები? მათს ხომ ავტორიტეტის არ სჯერათ და ყოველგვარი შიშის გარეშე ეკვეთნენ სახელგანთქმულ ვარსკვლავებს.

ამერიკელთა „გუნდმა-ოცნებამ“ პირველ მატჩებში არც თუ ისე დამაჯერებელ უპირატესობას რომ მიაღწია, ვარსკვლავები გულშემატკივრებს შეჰპირდნენ, შემდგომში ნამდვილ შოუს გაჩვენებთო. მაგრამ შეხვედრა შეხვედრას მისდევდა, შოუ კი არსად ჩანდა. და აქ მთელმა ამერიკამ კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა ვარსკვლავებს. აი, ამის შემდეგ გენახათ როგორ განრისხდნენ სახელგანთქმული კალათბურთელები, პროფესიონალები. მაგრამ თამაში მაინც არ წაუვიდათ. ბარკლიმ ყველაფერი ფირმა „მოლტენის“ ცუდ ბურთებს დააბრალა. პეიტონმა აქეთ შეუტია ჟურნალისტებს — ჩვენ რა, არ გვაქვს უფლება ზოგიერთი მატჩი სუსტად ვითამაშოთ? კარლ მელოუნი კი სულმოუთქმელად ელოდა ასპარეზობის დამთავრებას: „დაგვრჩა ორი მატჩი, სულ რაღაც ოთხი დღე და, როგორც იქნება, მოვშორდები ატლანტას. ვიცი, რომ ეს ოლიმპიადა ჩემთვის ბოლოა. კი მინდა დავტკბე თამაშის ცქერით, მაგრამ თამაში რომ არ წაგვივიდა, სულ იმას ვოცნებობ, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ყველაფერი“. ახლა ისიც გენახათ, როგორ იქცეოდნენ პროფები მოედანზე. იგივე მელოუნი, რეჯი მილერი ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯებს, მეტოქეებს სარმას უდებდნენ, აბუჩად იგდებდნენ და ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ყოველივე ევროპის ჩემპიონებს და შემდეგ უკვე ნახევარფინალში ავსტრალიელებს შორი მანძილიდან სროლა რომ წასვლოდათ...

იქნებ სწორედ მოიქცა მაიკლ ჯორდანი, რომელმაც უარი განაცხადა ესპარეზა ოლიმპიადაზე ვარსკვლავთა ამ ნაკრებში?

ვინ იქნება პირველი?

დიახ, სწორედ ეს აინტერესებს ამჟამად მთელ საკალათბურთო სამყაროს — რომელი ქვეყნის ნაკრები სძლევს ბოლოს და ბოლოს „გუნდ-ოცნებას“?, იგი ხომ თორმეტი სუპერვარსკვლავითაა წარმოდგენილი. მწვრთნელისთვის აბსოლუტურად სულ ერთია ვის დააყენებს სასტარტო ხუთეულში, ვინაიდან ნებისმიერ დროს შეუძლია მოედანზე სრულფასოვანი შემცვლელი მოთამაშე გამოიყვანოს. ეს არის ამერიკელთა მთავარი კოზირი. გავიხსენოთ თუნდაც ამ გუნდისა და იუგოსლავთა მატჩი ატლანტის ოლიმპიადაზე. ევროპელებმა ტაიმზე მეტი გაუძლეს მეტოქეს, მაგრამ ყველაფერი ამერიკელთა „გრძელმა სკამმა“ გადაწყვიტა.

ოთხი წლის წინათ ამერიკელებს თავის გუნდში ორი სტუდენტის შეყვანა უნდოდათ. გაზრდილი კონკურენციის გამო ეს ჩანაფიქრი დღის წესრიგიდან ამოვარდა. როგორც ვარსკლავი უილკენსი თვლის: „სტუდენტთა შეყვანით ნაკრების თამაში გაუფერულდება და ჩვენ არამარტო იუგოსლავები და ლიტველები მოგვიგებენ, არამედ არგენტინელები და ავსტრალიელები. ოდნავი მოდუნება, მეტოქის ძალების შეუფასებლობა მარცხიანი გამოდგება“.

მაშ ვინ, რომელი ნაკრები დაამარცხებს ამერიკელთა „გუნდ-ოცნებას“? იქნებ ეს წელს, გაისად, უახლოეს წლებში მოხდეს? ეს ხომ რეალურია და ამისთვის ბევრ ქვეყანაში ემზადებიან, თუმცა, არც ამერიკელები ზიან გულხელდაკრეფილნი. ამას წინათ, აშშ-ს საკალათბურთო ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა: „1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ყველა უძლიერესი პროფესიონალი იქნება გამოძახებული“.

ესე იგი, რა? კვლავ პირველები ამერიკელები იქნებიან, დანარჩენები კი მეორე ადგილისათვის იბრძოლებენ?. ალბათ ასეც იქნება. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ძალზე სწრაფ პროგრესს განიცდის იუგოსლავთა გუნდი: დივაცს, ჯორჯევიჩს, დანილოვიჩს, რებრაჩას, ბოდიროგას, ლონჩარს (უმეტესობა ნბა-ს გათამაშებაში მონაწილეობს) ნამდვილად შესწევთ ძალა შეწყვიტონ ამერიკელთა ჰეგემონია.

ახლა სიდნეი-2000-ის თამაშებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. უილკინსი თვლის, რომ ატლანტაში მოასპარეზე ვარსკვლავებიდან იმ დროისათვის ნაკრებში მხოლოდ ო'ნილი, ჰარდუეი, ჰილი და პეიტონი თუ დარჩებიან. ვინ დაემატება მათ? შეძლებენ მწვრთნელები ფაქტიურად ახალი გუნდის ასე სწრაფად ჩამოყალიბებას? და კიდევ ერთი გარემოება — ატლანტაში, თავის სამშობლოში, ამერიკელმა ვარსკვლავებმა ითამაშეს, მაგრამ ფულითა და დიდებით განებივრებულები წავლენ შორეულ ავსტრალიაში სასპარეზოდ?

ყურადღება!

„ლელოს“ ბიბლიოთეკით გამოსაცემად მზადდება კრებული „ქართული სპორტი-1996“. სპორტულ ორგანიზაციებს, ფედერაციებს ვთხოვთ მოგვაწოდონ 1996 წელს მიღწეული სპორტული შედეგების ამსახველი და სხვა როგორც წერილობითი ისე ფოტო მასალები. მისამართი: თბილისი, კოსტავას, 14 „ლელოს“ რედაქცია. ტელ. 99-56-14.

რა არ ხდება

მოედანზე არიან რობოტები

სპორტის წინსვლა რომ ხელს უწყობს მეცნიერების ცალკეული დარგების აღმავლობას, დღეს ყველამ კარგად იცის. თავის მხრივ მეცნიერებაც აძლევს სტიმულს სპორტს. ზოგჯერ ისინი „სპორტულ სარბიელზეც“ ეჭიდებიან ერთმანეთს. გავიხსენოთ თუნდაც ადამიანის და კომპიუტერის საჭადრაკო პაექრობა. ახლა კი... აშშ-დან მიღებული ცნობით, ტეხასის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში რაბოტების მონაწილეობით პირველი მატჩი გამართულა ჰოკეიში.

ესეც ახალი საოცრება!

ოლიმპიური ჩემპიონი ყინულოვან წყალში გადაახტუნეს!

ანიკა ვალტერი წარმოშობით გერმანიის ქალაქ როსტოკიდანაა. 21 წლისაა. 1996 წელს ანიკა ორჯერ იყო აშშ-ში. ჯერ ატლანტაში ათმეტრიანი კოშკიდან გადმოხტა და წყლიდან ოლიმპიური ვერცხლის მედლით ამოყვინთა, ხოლო შემდეგ გერმანული „პლეიბოის“ გუნდის შემადგენლობაში ჩაფრინდა ლოს-ანჯელესსა და არიზონაში — ამჯერად იგი საბანაო კოსტუმის გარეშე იყო...

— ყველაფერში კი ჟურნალისტები არიან დამნაშავენი. მათ ხწორედ ვერ გამიგეს. ერთ-ერთ ინტერვიუში, ატლანტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ რომ შედგა, მე ხუმრობით ვთქვი, რომ მოხარული ვიქნებოდი, თუ „პლეიბოი“ ყურადღებას მომაქცევდა — ეს ჟურნალი ხომ მხოლოდ ყველაზე ლამაზ ქალიშვილებს ათავსებს თავის ფურცლებზე. ჟურნალისტებს მეტი რა უნდათ: მაშინათვე შეთხზეს ისტორია, რომ მე „პლეიბოისთან“ თანამშრომლობა მსურს. ყველა ნაცნობი რჩევას მაძლევდა კარგად მომეფიქრებინა, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი. და აი, მოულოდნელად, მივიღე მოწვევის დეპეშა „პლეიბოიდან“. ჯერ ხუმრობა მეგონა, მაგრამ, როდესაც დამირეკა ჟურნალის ფოტოგრაფმა ქალმა, მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო. რჩევა ვკითხე დედას, რომელმაც მითხრა თავად მიმეღო გადაწყვეტილება. და მე თანხმობა განვაცხადე.

თუ ნახევარ ცხოვრებას საბანაო კოსტუმში ატარებ, სულ მთლად გაშიშვლება არაა დიდი პრობლემა. მთავარია, გადადგა პირველი ნაბიჯი. როდესაც ოთხი წლის ვიყავი, დავიწყე ვარჯიში სპორტულ ტანვარჯიშში. მესამე კლასიდან სპორტსკოლაში ვსწავლობდი. მეხუთე კლასიდან კი წყალში ხტომამ გამიტაცა პირველად მეტრიანი ტრამპლინიდან ვხტებოდი და მხოლოდ მაშინ, როდესაც 14 წლის გავხდი, დავიწყე ვარჯიში მაღალ ტრამპლინზე. ჩვენ, წყალში მხტომელები, დიდ ყურადღებას ვუთმობთ საკუთარ სხეულს და ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ მსაჯებს მოვეწონოთ. ამას მოითხოვს ფიზიკის კანონი: ვინც ათმეტრიანი ტრამპლინიდან ხტება, უნდა დაძლიოს ისეთი წნევა, რომელიც 30-ჯერ აღემატება საკუთარი სხეულის წონას... ერთხელ მე წყალზე მუცლით დავეცი და ძალიან დავზიანე ნეკნები. არ არსებობს სპორტის ურისკო სახეობა. სპორტში ტრავმები ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ ასეთ დიდ ყურადღებას ვუთმობთ საკუთარ სხეულს. თუმცა, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ არ ვთვლი თავს გამოჩენილ სპორტსმენად. სპორტი ჩემი ცხოვრების მხოლოდ ნაწილია. მე ყველგან ვიგვიანებ, ვარ ძალიან დაბნეული. ძალიან ბევრი ნაკლი მაქვს. მაგალითად, მიყვარს ტკბილეული და ჩემდა საზიანოდ ბევრსაც მივირთმევ. არ გეტყვით რა სახის ტკბილეულობა მიყვარს, თორემ ერთხელ რომ ვთქვი ინტერვიუში, გერმანიის ყველა კუთხიდან დაიწყეს გამოგზავნა.

გადაღებების წინ მეგონა ძალიან შებოჭილი ვიქნებოდი, მაგრამ ისეთი გუნდი შეიკრა, რომ თავისუფლად ვიგრძენი თავი. წარმოდგენა არ მქონდა, რომ გადაღებას ამდენი რამ სჭირდებოდა: კარგი განათება, დიდი დრო, ამდენი ფირი, კოსმეტიკა. ყველა თავისი საქმითაა დაკავებული და შენთვის არავის სცხელა.

საერთოდ, არ მიყვარს ამერიკა და ამერიკელები, რომლებიც, ჩემი აზრით, უზრდელები არიან. მაგალითად, ლოს-ანჯელესში ვერა და ვერ ვიპოვნეთ საცურაო აუზი, სადაც ნებას დამრთავდნენ კოშკურიდან გადმოვმხტარიყავი საბანაო კოსტუმის გარეშე. ამიტომ იძულებული გავხდი ნახტომი შემესრულებინა კლდიდან — პოუელის ტბაში. ამასთან დაკავშირებით ლამის შოკში ჩამაგდეს: ჩვეულებრივ, ვვარჯიშობ საცურაო აუზებში, სადაც წყლის ტემპერატურა 28 გრადუსზე მეტია, ტბაში კი წყალი ყინულოვანი აღმოჩნდა.

არ დამავიწყდება აგრეთვე ამ ქვეყანაში ჩასვლა და გამომგზავრება — ამერიკელმა მებაჟეებმა რაღაც-რაღაცეებში შარი მოგვდეს, სანამ მათ თვალწინ არ ამოვილე ვერცხლის მედალი. უკან გამომგზავრებისას კი მათ ეს მედალი ასაფეთქებელი მოწყობილობა ეგონათ...

ვნახოთ, რა იქნება აწი. არ მიყვარს ჩემს გარშემო ამტყდარი აურზაური და ამიტომ ხშირად უარს ვამბობ ინტერვიუზე. ადრე ბევრი მაქეზებდა უარი მეთქვა „პლეიბოისთან“ თანამშრომლობაზე, მე კი ამ საქმეში ცუდს არაფერს ვხედავ. 1997 წლის გაზაფხულზე ვამთავრებ სწავლას და გავხდები ჟურნალისტი. მე ახლავე ვეძებ გამოცემას, სადაც სტაჟირებას გავივლი. ჰო, მართლა, ყოველი ჟურნალისტი მეკითხება: „არ გეშინია, ამ სიმაღლიდან რომ ხტები?“ ყველას ერთად გიპასუხებთ: „არა!!! ეს რომ ასე არ იყოს, რაღაზე გავისარჯებოდი?

ანიკა ვალტერი

მოამზადა „ლელოს“ უცხოეთის სპორტის განყოფილებამ

იბეჭდება „ფეხბურთის მსოფლიო ენციკლოპედია“

გამომცემლობა „ჯისიაი“ მალე ქართულ ენაზე გამოსცემს ალექსანდრე ქურდობაძის წიგნს „მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედია“. სავარაუდო ფასია 10 ლარი. მაგრამ, ვინც შეიძენს აბონემენტს, რომლის ღირებულება 5 ლარია, დამატებით თანხას წიგნის მიღებისას აღარ გადაიხდის.

აბონემენტი შეგიძლიათ შეიძინოთ უშუალოდ ავტორთან ან გამომცემლობაში. ტელეფონები: 95-31-99; 36-52-91; 95-82-82 (საღამოს საათებში). დაგეხმარებათ აგრეთვე გაზეთ „ლელოს“ ფეხბურთის განყოფილებაც. ტელ. 99-56-14.

გახსოვდეთ, ტირაჟი შეზღუდულია.

ხალხური მედიცინა თქვენს სამსახურში

თბილისში ა. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) გამზირის №33-ში ახლახანს გაიხსნა აფთიაქი „ნატუროპატი“, სადაც თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ხალხური მედიცინით მკურნალობის საშუალებები. კერძოდ:

აქატი — კურნავს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ბნედას, თმის ცვენას, ბრონქიტს და ა.შ.

აქატი (ზოლიანი) — არეგულირებს გულის მუშაობას, კურნავს უძილობას, სიმსივნეებს...

ამაზონიტი — არეგულირებს წნევას, კურნავს ნერვულ სისტემას, რევმატიზმს, ღვიძლის დაავადებას...

ბიშერი — კურნავს ჰიპერტონიას, ალერგიას...

იასპისი — კურნავს კუჭნაწლავის დაავადებებს, ასთმას, უშვილობას...

კაჟი — არეგულირებს ნერვულ სისტემას, კურნავს გულსისხლძარღვთა დაავადებებს...

აგრეთვე შეგიძლიათ შეიძინოთ სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის შესაფერისი მინერალები. იქვე აფთიაქში მიიღებთ კონსულტაციას.

ისარგებლეთ ხალხური მედიცინის სიკეთით!

ტელეფონი: 39-49-87.



საფეხბურთო კროსვორდი

თარაზულად: 2. ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი. 4. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, 6. განელი პელეს სახელი. 9. ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელი, 11. ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი, 12. თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების ფეხბურთელი, 14. ევროპის ნაკრები, 17. „ბოავიშტას“ ფეხბურთელი, 20. „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების მცველი, 22. „პიაჩენცას“ ფეხბურთელი, 23. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 24. მსოფლიოს ცხრა ჩემპიონატში მონაწილე ნაკრები, 27. „ბოავიშტას“ ნახევარმცველი, 31.. XI მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდიელი მცველი, 34. თბილისის დინამოელი, ვეტერანი. 37. „ჩელსის“ თავდამსხმელი, 39. ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველი, 41. „ვიჩენცას“ თავდამსხმელი, 42. ბულგარელი ნახევარმცველი, 43. სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ნაკრები.

შვეულად: 2. „ნიუკასლის“ ფეხბურთელი, 3. პორტუგალიელი მცველი, 5. „ინტერის“ ლეგიონერი, 7. ხორვატიის ნაკრების მცველი, 11. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 17. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, 18. ბულგარეთის ნაკრების მცველი, 19 მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი, 20 თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, 21. იტალიელი ვიცე-ჩემპიონი IX მსოფლიო ჩემპიონატზე. 25. „ატალანტას“ ფეხბურთელი, 28. „პარმას“ ლეგიონერი, 31. ხორვატი თავდამსხმელი, 32. „ინტერის“ ფეხბურთელი, 34. იტალიელი მწვრთნელი, 35. ესპანეთის ნაკრების მცველი, 36. „ბარსას“ ფეხბურთელი.

დიაგონალურად: 1-8 „არსენალის“ მცველი, 1-10. გერმანელი მსოფლიო ჩემპიონი, 8-13. სსრკ ნაკრების ყოფილი თავდასხმელი, 10-13. XII მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ბრაზილიელი ფეხბურთელი, 15-26. ინგლისური კლუბი, 16-27. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 18-29. ევროპის ნაკრები, 20-30. ყოფილი თბილისის დინამოელი, 33-38. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე, 33-40. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 38-44. ბელგიის კლუბი, 40-44. „სამპდორიის“ ფეხბურთელი.

შეადგინა კარლო სალუქვაძემ (ოზურგეთი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ლასკერი. 7. ურუგვაი, 8. ანდერსონი, 11. კნუპი, 12. „რეალი“, 13. აკრა, 16. ბატალია, 17. ანტალია, 21. მანგა, 22. „ოსერი“, 23. კრონა, 26. მეტრეველი, 27. კიზირია, 28. ერუშეთი.

შვეულად: 1. ჰამრინი, 2. ირანი, 3. კრონა, 4. „კალიარი“, 6. ბარქაია, 9. „სპორტინგი“, 10. აკვალანგი, 14, ბელტი, 15. მეტრო, 18. შვედეთი, 19. კაკულია, 20. არგვეთა, 24. სპორტსმენის კვების რაციონი, 25. ქიმიური ელემენტი.

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი (სოფ. ჩარგალი)

შამათი 12 სვლაში

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX.

„ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები ი. სიდამონიძე, მ. წოწორია, ნ. რამიშვილი